

729
1966



Խ.Վ.

0

ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԹԱԴՐԻ

1

1966

729

8

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



საქართველოს თეატრისა და საზოგადოებრივი სამსახურის საზოგადოებრივი სამსახური

თ ე ა გ ა რ ე რ ე
ე რ ა გ ე ც

10.199

№ 1 (34)



რედაქტორი - მრავალ ქარელიშვილი

სარეაქციო კოლეგია: დ. ანთაძე, შ. აფხაძე, ვ. გოძიაშვილი,
ნ. გურაბანიძე, ო. ეგაძე, დ. მჭედლიძე,
ბ. ქლენტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი,
ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

ქართული თეატრის ღია

თოთხმეტი იანვარი (2 იანვარი ტ. სტ.) ტრადიციულად აღიარებულია ქართული თეატრის დღედ. ეს ის თარიღია. როდესაც 1850 წელს არსებობა დაწყო განახლებულმა ქართულმა თეატრმა და მას სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. მწერალი დრამატურგი, თვით რეჟისორი და აქტორი, თეატრის საქმის ორგანიზატორი გიორგი ერისთავი.

ამ დღეს დაიდგა ერისთავის „გაყრა“, რომელსაც დიდი წარმატება ხედა წილად. ამ თეატრში აღიზარდნენ მსახიობთა ნიჭიერი მოღვაწენი, — ისეთები, როგორიც იყვნენ: მსახიობი ქალი ნ. უზნაძე, მსახიობები გ. ღვანაძე, გ. ჯაფარიძე, ა. მეითარიანი. დრამატურგები: ზ. ანტონოვი, ი. კერესელიძე, თეატრალური კრიტიკოსი მ. თუმანიშვილი და სხვანი. მართლია, ამ თეატრმა ცოტა ხანს იარსება და ხუთი თუ ექვსი წლის შემდეგ შეწყვიტა თავისი საქმიანობა. მაგრამ 1879 წელს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაოსნობით და ინიციატივით ეს შესანიშნავი წამოწყება კვლავ განახლდა და იმ დროიდან ქართული თეატრი უწყვეტლივ განაგრძობს თავის განვითარებას.

ამ დროისათვის ქართულ თეატრს უკვე ამკობდნენ ისეთი ბრწყინვალე ნიჭის მსახიობები, როგორებიც იყვნენ: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა. ნატო გაბუნია. ვალერიან გუნია. კოტე ყიფიანი. კ. მესხი, ე. ჩერქეზიშვილი და მრავალნი სხვანი. ისინი ღილაპინების მშვენებლები ჩვენს სცენას როგორც აქტიორები. რეჟისორები და მომავალი თაობათა აღმზრდელნი.

რა თქმა უნდა. 1850 წელი ქართული თეატრის არსებობის საწყისი არ არის. ქართული თეატრის ფესვები შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. ჩვენი უძველესი ხალხური სანახაობები — ბერიკაობა, ყენობა და სხვა, — ამ ტკიცებენ ქართული თეატრის საწყისების არსებობას უძველეს დროშიც.

უძველესი და შუასაუკუნეების ქართული თეატრის შესასწავლად დიდია და საინტერესო მუშაობას ეწევიან ჩვენი თეატრის ისტორიკონი, რომელთა შორის საპატიო ადგილი

უჭირავს ხელოვნებათმცოდნების ღოქტორს, პროფესორ დიმიტრი ჭანელიძეს. მისმა საფუძვლიანმა შრომებმა შუქი მოჰყინეს ქართული თეატრის განვლილი ბედის მრავალმნიშვნელოვან ფაქტებს, მაგრამ ჩვენი თეატრის ისტორიის ნათელყოფა კიდევ დიდსა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

სამწუხაროდ, დამწერლობითი საბუთი ცოტა მოვცემებნება ჩვენი თეატრის ისტორიის შესახებ. ვიცით, რომ შუა საუკუნეებში და უფრო გვიან ბერიოდშიაც არსებობდა სასახლის კარის თეატრი — სახიობა, სადაც იდგმებოდა პატრიოტულ, მითოლოგიურ და სატრუქილო სიუჟეტებზე აგებული პიესები. ერეკლე მეფის დროს ამ თეატრს ხელმძღვანელობდა მსახიობი დავით მაჩაბელი. კრწანისას სასტიკი ბრძოლის დროს განადგურდა კარის თეატრის მთელი დასი მისი მეთაურიანად.

მეოცრამეტე საუკუნის 60-იან და 80-იან წლებში თბილისისა და თელავის სემინარიებში ჩამოყალიბდა სასოფლო თეატრები. სადაც სასულიერო შინაარსის პიესები იდგმებოდა, ხოლო მე-18 საუკუნის 80-იან წლებში დაარსდა თბილისის საერო თეატრიც. რომელსაც ერეკლე მეორე მფარველობდა. ამ თეატრს სათავეში ედგა დრამატურგი გ. ავალიშვილი. თეატრში იდგმებოდა გ. ავალიშვილის „თეომურაზ მეფე“. ჩოლოყაშვილის „იფიგენია“, სუმაროკვის პიესები და სხვა.

სამწუხაროდ. უამთა სიავებ და ჩვენი ქვეყნის დაუსრულებელმა აოხრებამ და აწიოკებამ გაანადგურა დამწერლობითი და ხუროთმოძღვრული მრავალი ტეატრი და ამ განადგურების მსხვერპლი გახდა ქართული თეატრიც.

დრომ მოიტანა ხელსაყრელი პირობები და, როგორც აღვინიშნეთ, ქართულმა თეატრმა 1850 წლიდან კვლავ განახლა თავისი არსებობა.

მეცხრამეტე საუკუნის 60 — 80 წწ. ქართული თეატრის სცენაზე იდგმებოდა რაგორც ქართველი მწერლების, — ილიას, აკაკის, გ. ერისთავის. ა. ცაგარლის, დ. ერისთავის და სხვათა ნაწარმოებები, ისე რუსული კლასიკოსებიც: ოსტროვსკი, გოგოლი, გრიბოედოვი და აგრეთვე ევროპული კლასიკის შედევ-

რები: შექსპირის, მოლიერის, შილერის, ბომარშეს, გოლდონისა და სხვათა პიესები.

მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში და მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში, რევოლუციური აღმავლობის პერიოდში, დიდი წარმატებით სარგებლობდა სოციალური კრიტიკიზმით გამსჭვალული ქართველ დრამატურგთა პიესები: დავით კლდიაშვილის, შალვა დადიანის, ტრიფონ რამიშვილის კომედიები და დრამები, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების ინსცენირებანი.

რეაქციის წლებში ქართულმა თეატრმა ერთგვარი ხარკი მიუზღო უცხოეთის სიმბოლისტურ-იმპრესიონისტულ დრამატურგიას. მაგრამ ქავც საქართველოს თეატრებმა შეარჩიეს ისეთი პიესები. რომლებშიაც აშკარად გაისმოდა სოციალური პროტესტი და უკმაყოფილება არსებული სინამდვილით. ასეთი მეამბოხური სულისკვეთებითა და რევოლუციური მოძრაობის ასახვის მისწრაფებითა გაუღინილი ამ დროის ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებებიც.

ქართული სამსახიობო ოსტატობის რეალისტური სტილი ჯერ კიდევ ვასო აბაშიძემ დაფუძნა, მაგრამ ქართული სამსახიობო რეალიზმი არასოდეს არ ყოფილა მომწყვდეული ვიწრო ყოფაცხოვრებითი მოვლენების გამოსახვის ჩარჩოებში; მას არ ყოლდა არც კომედიური სიმსუბუქე და სინატიფე, არც ტრაგიკული პათოსი და არც რომანტიკული შემართება.

რევოლუციამდელი ქართული თეატრის ცხოვრება ვითარდებოდა მეტად რთულ და მძიმე პირობებში. თეატრს არავითარი საარსებო სახსარი არ გააჩნდა. გარდა საზოგადოებრივი დახმარებისა. ამ მიზნით გასული საუკუნის 80-იან წლებში ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თაოსნობით ჩამოყალიბდა თბილისის დრამატიული საზოგადოება, რომელსაც ფართო ფართო ფუნქციები ჰქონდა. ივი ფაქტიურად ხელმძღვანელობდა თეატრს. აყალიბებდა დასს. ადგენდა მისთვის რეპერტუარს, აწესებდა ხელფასებს, ზრუნვადა მსახიობთა ახალი თაობის აღზრდისათვის. ხელს უწყობდა ორიგინალური დრამატურგის განვითარებას და თეატრის თეორიის საკითხების დამუშავებას.

დრამატული საზოგადოებები ცოტა მოგვიანებით დაფუძნდა აგრეთვე ყველა იმ ქალაქებში, სადაც სტაციონალური თეატრები

იყო, — კერძოთ ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში და სხვაგან.

ოფიციალურად თბილისის დრამატული საზოგადოება დაარსდა 1880 წ. 20 ივნისს. არ იქნება ინტერესს მოკლებული, თუ გავიხსენებოთ მის პირველ შემადგენლობას: ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), აკაკი წერეთელი (თავმჯდომარის ამხანაგი), კოტე ყიფიანი (მდივანი). გიორგი თუმანიშვილი (ხაზინადარი), რაფიელ ერისთავი. მიხეილ ყიფიანი. ნიკოლოზ ქანანაშვილი და სხვანი. შემდეგში. სხვადასხვა დროს, თავმჯდომარებად იყვნენ: რაფიელ ერისთავი, ნიკო (კოლა) ერისთავი, ნიკო სულხანიშვილი, ნიკო ქართველიშვილი, ბოლო ხანებში აკაკი წერეთელი და სხვანი.

დრამატულ საზოგადოებას გამომუშავებული ჰქონდა თავისი წესდება. სადაც გათვალისწინებული იყო ყველა ის უფლება-მოვალეობა, რაც ეკისრებოდა ქართული სცენის მოღვაწეს. აღსანიშნავია, რომ ეს საზოგადოება ასრულებდა პროფესირის ფუნქციასაც. დრამატულმა საზოგადოებამ იარსება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ამ დროისათვის დრამატულმა საზოგადოებამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რაღაც, სხვა კავშირებთან ერთად ჩამოყალიბდა ხელოვნების მუშავთა კავშირი, რომლის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენდა ზრუნვა სცენის მუშავთა შრომის პირობებზე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში თეატრებზე ზრუნვა მთლიანად სახელმწიფო იქისრა. თეატრებისათვის დაწესდა მუდმივი საარსებო ღოტაცია. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართული თეატრის ბედს. ქართული თეატრის შენობის დაწვის შემდეგ (1914 წელს) თბილისის ქართული დასი უბინაოდ დარჩა. მაგრამ 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ქართულ თეატრს გადასცა ერთ-ერთი უშესანიშნავესი თეატრალური შენობა, — ახლანდელი რუსთველის თეატრი.

1922 წლიდან ქართულ თეატრს სათავეში ჩაუდგა დიდად სახელმოხვეჭილი ცნობილი რეკისორი კოტე მარჯანიშვილი. რომლის მოღვაწეობასთან დაკავშირებულია ქართული თეატრის ოლორძინება და აღმავლობა. იგი სამართლიანად ითვლება ჩვენი თეატრის რეფორმატორად.

კოტე მარჯანიშვილმა მოიტანა ქართულ თეატრში მისთვის საყვარელი სინთეზური თეატრის პრინციპები. მან ერთ პარმონიულ მთლიანობაში გააერთიანა დრამატურგი, მსახიობი,

მხატვარი. კომპოზიტორი და სპექტაკლის დანარჩენი კომპონენტები.

კოტე მარჯანიშვილმა ღიდად აამაღლა ქართული თეატრის სცენიური კულტურა. აღზარდა მსახიობების და საერთოდ, სცენის მუშაკთა მთელი თაობები.

კოტე მარჯანიშვილმა ფართო ასპარეზზე გამოყვანა ქართული თეატრი. მან პირველმა გაუხსნა გზა ქართულ თეატრს სამშობლოს საზღვრებს იქით და 1930 წელს ქართული თეატრის ისტორიაში მოხდა უჩვეულო ფაქტი: პირველად ჩატარდა ქართული თეატრის გასტროლები მოსკოვსა და ხარკოვში.

საზოგადოება და პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ გასტროლებს და ქართულმა თეატრის სამართლანი აღიარება და დიდი მოწონება დაიმსახურა. რაյო ერთხელ გადაილახა ჯებირი, ქართულ თეატრებს გზა გაეხსნათ საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქებისაკენ, მეტადრე მოსკოვისაცენ. სადაც სისტემატურად ეწყობოდა და ეწყობა ოპერის, რუსთაველის, მარჯანიშვილის თეატრებისა და სხვა ქართული სცენიური კოლექტივების გასტროლები.

კოტე მარჯანიშვილმა, რუსთაველის თეატრში. თავის მოღვაწეობის დასაწყისშივე, ნიჭიერი ახალგაზრდობა შემოიკრიბა. ამავე დროს მისი ხელმძღვანელობით ასესებულ დასა პეშვენებდნენ უფროსი თაობის მსახიობები: ნუკა ჩხეიძე, ნინო დავითაშვილი, ალ. იმედაშვილი, ცაცა ამირეგიბი, ნიკო გოცირიძე. ტასო აბაშიძე. ნატალია ჯავახიშვილი და სხვანი.

მარჯანიშვილის ირგვლივ თავმოყრილი ახალგაზრდობა ძირითადად მოსული იყო გ. ჯაბადარის სტუდიიდან. ამ პედაგოგმა თავის აღზრდილთ ჩაუნერგა მრავალი კარგი აქტორის ული ჩვევა. რუსთაველის თეატრში გიარგი ჯაბადარის სტუდიიდან მოვიდნენ უშანგი ჩხეიძე. შალვა ღამბაშიძე, ვერიკო ანგაფარიძე, აკაკი ვასაძე, მიხ. გელოვანი, მიხ. ჭიათურელი. მიხ. ლორთქიფანიძე, ვეჩე ჯიქია, ალისა ქაქოძე. დიმიტრი მუავია, ანეტა ქიქოძე. ბ. გამრეკელი და სხვანი. ამავე პერიოდში დაიწყეს მუშაობა რუსთაველის თეატრში აკაკი ხორავა და თამარ ჭავჭავაძემ. იმ ხანად კოტე მარჯანიშვილის გვერდით რუსთაველის თეატრში მუშაობდნენ უფროსი თაობის ნაცალი რეჟისორები: ალ. წუწუნავა, მიხ. ქორელი, აკ. ფალავა, კ. ანდრონიკაშვილი და ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი ალ. ახმეტელი. რომელიც რუსთაველის თეატრიდან კოტე მარჯანიშვილის წასვლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა რუს-

თაველის თეატრს და წლების მანძილზე წარმატებით ხელმძღვანელობდა მას.

1926 — 1935 წწ. ალ. ახმეტელის ხელმძღვანელობით რუსთაველის თეატრში განხორციელდა ბევრი საგულისხმო დადგმა. ეს დადგმები საყოველთაოდ აღიარებულია არა მარტო ქართული, არამედ საბჭოთა კავშირის ფართო თეატრალური საზოგადოებრიობის მიერ. ამ დადგმებმა განამტკიცეს რუსთაველის თეატრის რომანტიკულ-გმირული შემოქმედებითი სტილი. დაუვიწყარი და საყოველთაოდ ცნობილი სცენიური სახეები შექმნეს ამ სპექტაკლებში ჩვენმა მაღალნიჭიერმა შეახიობებმა: აკაკი ხორავამ, აკაკი ვასაძემ, გ. დავითაშვილმა, ემ. აფხაძემ და აგრეთვე მათი მომდევნო თაობის მსახიობებმა: თამარ წულუკიძემ, გიორგი სალარაძემ, ბ. შავიშვილმა, ვ. ლალიძემ, სტეფანე ჯაფარიძემ, ვ. აბაშიძემ. თამარ ბაქრაძემ. პლ. კორიშელმა, ნინო ლაფაჩმა. დ. მეავიამ და სხვებმა. რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი სტილის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შესარულა ქართული თეატრალური მხატვრობის მაღალ-ნიჭიერმა წარმომაღვენელმა ირ. გამრეკელმა.

1928 წლიდან კოტე მარჯანიშვილი სათავეში ჩაუდგა ქუთაისის თეატრს, რომელმაც თავისი ბრწყინვალე დადგმებით იმთავითვე მიიპყრო ყურადღება როგორც ჩვენი რესპუბლიკის. ისე საბჭოთა ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობისა. ამ გამარჯვებებს განაპირობებდა კოტე მარჯანიშვილის მაღალი, მაღლიანი ნიჭი და იმ შემოქმედთა შრომა, რომლებიც მის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნ. ესენი იყვნენ: მსახიობები უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, ვერიკო ანგაფარიძე. თამარ ჭავჭავაძე, ცეცილია წუწუნავა, ელენე დონაური. ვასო გოძიაშვილი. სანდრო უორეოლიანი. სესილია თაყაიშვილი, კაკო კვანტალიანი. პიერ კობახიძე, გრ. კოსტავა, მიხ. ლორთქიფანიძე, ალ. იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, შაქრო გომელაური და ნიჭიერი ახალგაზრდობა, — მათ შორის: გიორგი შავგულიძე. სერგო ზაქარიაძე. ალ. იმიაძე, ალ. გომელაური, ნდობით აღჭურვილი ახალგაზრდა რეჟისორები გ. სულიაშვილი. ვ. აბაშიძე და სხვანი. კომპოზიტორი თამარ ვახვახიშვილი და მხატვრები: პეტრე ოცხელი, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, ლადო გულიაშვილი. ჩვენი ნიჭიერი დრამატურგები, მწერლები, კრიტიკოსები: ბ. ულენტი, პოლ. კაკაბაძე, კ. კალაძე, დ. შენგელაია, ალ. ქუთათელი, ს. ჩიქოვანი,

გ. ბაზოვი და მრავალნი სხვანი. ეს ბრწყინვალე შემოქმედნი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ კოტე მარჯანიშვილს ყველა ხელსაყრელი პირობები შექმნილა შთაგონებული მუშაობისათვის. ასეც მოხდა. 1922 წლის შემდეგ, როდესაც პირველად დაიდგა „ცხვრის წყარო“, — 1928 წელს ქართული თეატრი კვლავ დიდი ბრწყინვალებითა და წარმატებით წარსდგა ჩვენი საზოგადოების წინაშე. ერთხელ კიდევ სრული ძალით გაიელვა კოტე მარჯანიშვილის დიდმა რეჟისორულმა ნიჭმა.

დღეს საქართველოში სრული ძალით ვითარდება თეატრალური ცხოვრება. ჩვენს რესუბლიკაში ოცხე მეტი პროფესიული თეატრია.

დიდ წარმატებებს და სასიხარულო გამარჯვებებს მიაღწიეს საქართველოს სხვა ქალაქების თეატრებმაც.

გარდა სახალხო თეატრებისა, ჩვენს რესუბლიკაში წარმატებით მუშაობს 19 საქალაქო კულტურის სახლი, 62 რაიონული კულტურის სახლი და 1181 სასოფლო კლუბი. ეს კულტურის სახლები და კლუბები აერთიანებენ 5 000-მდე კოლექტივს. სადაც შედიან დრამატული, ქორეოგრაფიული, მომღერალთა, მუსიკალური, აგიტმხატურული და სხვა კოლექტივები. რაც ადასტურებს მხატვრული თვითმოქმედების დიდ როლს მასების აღზრდის საქმეში. ეს თვითმოქმედი კოლექტივები აერთიანებენ 60.000 მონაწილეს.

ჩვენი თეატრების ზრდასთან ერთად განმტკიცდა მშობლიური დრამატურგია. ქართველი კლასიკოსების. — გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, ა. ცაგარლის, დ. კლდიაშვილის, ილიას, აკაკის, ა. ყაზბეგის, შ. დარიანის. ი. გელევანიშვილის გვერდით გაიზარდა ახალი ცელა თანამედროვე დრამატურგიისა: ს. შანშიაშვილი, პ. კაკაბაძე. ს. კლდიაშვილი, მიხ. ჭაფარიძე. ი. ვაკელი, ვ. გაბისიკირია. კ. კალაძე, გ. ნახუცერიშვილი. გ. შატბერაშვილი. ლ. გოთუა. ს. მოვარაძე, მ. მრევლიშვილი. გ. ბერძენიშვილი. გ. მდივანი. ვ. დარასელი, ვ. პატარაია. კ. ბუაჩიძე. ოთ. ჩიგავაძე, გ. ქელბაქიანი, ვ. კანდელაგი. გ. ხუხაშვილი, დ. კვიცარიძე, ლ. სანიკიძე. ა. შერგაშიძე და სხვანი.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მიმდინარე წელს შესრულდა 85 წელი დრამატული საზოგადოების დარსების დღიდან. ამ თარიღი

დაემთხვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების არსებობის 20 წელი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება დაარსდა 1945 წლის 17 დეკემბერს. საზოგადოების დამფუძნებელ საორგანიზაციო კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ჩვენი სახელოვანი მსახიობი აკაკი ხორავა. ამ საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, რომელიც თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელმა კრებამ აირჩია საზოგადოების თავმჯდომარედ. მის მოადვილედ ითვლებოდა შალვა დადიანი, ხოლო პასუხისმგებელ მდივნად — სერგო გერსამია.

1948 წლიდან ა. ხორავა შეცვალა შალვა დადიანმა. რომელიც ხანგრძლივად, სიცოცხლის ბოლო წუთამდე (1959 წ.) ხელმძღვანელობდა თეატრალურ საზოგადოებას. ამ გამოჩენილი მოღვაწის სახელთან დაკავშირებულია მრავალი მნიშვნელოვანი მიღწევა და წარმატება საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა.

შალვა დადიანის გარდაცვალების შემდეგ გარკვეული პერიოდის მანძილზე თეატრალურ საზოგადოებას სათავეში ედგა ჯერ აკაკი ხორავა და შემდეგ მწერალი-დრამატურგი მიერილ მრევლიშვილი.

ჩვენი საზოგადოება ამჟამად აერთიანებს დაახლოებით 1500 წევრს, რომელთა რიცხვი დღითიდელ იზრდება.

თეატრალური საზოგადოების ძირითად საარსებო წყაროს შეადგენს საწევრო ანარიცხები და წარმოებიდან მიღებული შემოსავალი. ამ თანხებით თეატრალური საზოგადოება, როგორც ნებაყოფლობითი ორგანიზაცია, თავისი წესდების მიხედვით. ფართოდ ანხორციელებს შემოქმედებითი სახის სხვადასხვა ღონისძიებებს, როგორებიცა მაყურებელთა კონფერენციები, კონკურსები. თეატრალური სეზონების და ცალკეული სპექტაკლების განხილვები. ღისპუტები, სხვადასხვა სახის სემინარები. შემოქმედებითი მივლინებები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, გასვლითი სესიები და პრეზიდიუმის სხდომები ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში, სპექტაკლების გასინჯვა აღგილებზე, შემოქმედებითი სალამოებისა და იუბილეების მოწყობა, დახმარების გაწევა წევრებისათვის. ავადმყოფობის შემთხვევაში, შემოქმედ მუშაკთა მემორიალური დაფებისა და ძეგლების აღმართვა, მათი მოვლა-პატრონობა და სხვა.

თეატრალურ საზოგადოებას გააჩნია თავისი დასასვენებელი სახლი მანგლისში, ხოლო უახლოეს დროში დასრულდება და საექსპლოატაციულ გადაეცემა კეთილმოწყობილი 60 ადგილიანი სანატორიუმი სინოპში, სოხუმის მახლობლად.

განზრახული გვაქვს უახლოეს დროში ავაგოთ აგრეთვე დასასვენებელი სახლი წყნეტში.

მალე დაიწყება თეატრალური საზოგადოების აღმინისტრაციული სახლის მშენებლობა და ჩატარდება იმ საზაფხულო შენობის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია. რომელიც მოთავსებულია თეატრალური საზოგადოების ბაღში.

ხანგრძლივად, თხუთმეტი წლის მანძილზე, თეატრალურ საზოგადოებასთან არსებობდა გამომცემლობა „ხელოვნება“, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში გამოსცა დაახლოებით 350-მდე დასახელების წიგნი. ეს წიგნები ძირითადში შეეხებოდა თეატრალური ხელოვნების პრობლემებს. ესენი გახლდათ თეორიული თუ მემუარული ხასიათის ნაწარმოები, საუკეთესო კლასიური და თანამედროვე დრამატურგიული ნაწარმოები. გამომცემლობა „ხელოვნება“ ბეჭდავდა აგრეთვე მრავალ ნაშრომს არქიტექტურის, მხატვრობისა და ფერწერის, მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგის საკითხებზე.

ამ გამომცემლობას დიდად ხელს უწყობდა ის, რომ თეატრალურ საზოგადოებას აქვს საკუთარი სტამბა.

სამწუხაროდ, გამომცემლობა „ხელოვნება“ 1962 წელს შესწყვიტა თავისი დამოუკიდებელი არსებობა და გაერთიანებულ იქნა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებასთან“, რომელიც, მიუხედავად დიდი სურვილისა. ვერ ახერხებს სათეატრო და, საერთოდ, ხელოვნებათმცოდნების ნაწარმოებთა იმ მასშტაბით პუბლიკაციას, რასაც ეწოდა გამომცემლობა „ხელოვნება“.

ჩვენ იმედი გვაქვს. რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დააკმაყოფილებს პრეზიდენტის შუამდგომლობას და თეატრალურ საზოგადოებას დაუბრუნებს დამოუკიდებელ გამომცემლობას. მსგავსად საბჭოთა კავშირის სხვა თეატრალური საზოგადოებებისა.

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას აქვს თავისი ყოველკვარტალური ორგანო „მოამბე“, რომელიც გამოდის სტამბური ნა-

ბეჭდის სახით და წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის უურნალს.

საერთოდ, თეატრალური საზოგადოება მიზნად ისახავს ყოველნაირად ხელი შეუწყოს და დაებმაროს თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეს.

საზოგადოება ხელს უწყობს თეატრალური განათლების განვითარების საქმეს და თეატრალური ხელოვნების ფართო პოპულარიზაციას მასებში. ამ მიზნით სისტემატურად ტარდება როგორც დისპუტები, ისე მაყურებელთა კონფერენციები, სამეცნიერო სესიები, შეხვედრები თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებთან, ლექციები, კონკურსები, გამოფენები და სხვა.

თეატრალურ საზოგადოებასთან ჩამოყალიბებულია მთელი რიგი წამყვანი სექციები, რომელთა შემადგენლობაში შედიან ჩვენი გამოჩენილი რეაქტორები, მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები, მეცნიერნი.

ასეთია სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭო, რომლის თავმჯდომარეა აკადემიკური გ. ახვლედიანი. ამ სექციის საბჭოს წევრები არიან: აკადემიკური ა. შანიძე, ვ. თოფურია, პროფესორები შ. ძიძიგური, დ. განელიძე, ღოცენტი მ. მრევლიშვილი, ბ. ნიკოლაიშვილი, ი. მაისურაძე და სხვანი.

თეატრალურ საზოგადოებასთან არსებობს აგრეთვე სარეკისორო და სამსახიობო ოსტატობის. თეატრისა და თეატრმცოდნების, სადაღმო ნაწილის მუშაკთა და სხვა სექციები.

ჩვენი თეატრების წინსვლასა და გამარჯვებებს დიდად უწყობს ხელს მის ახალგაზრდა მუშაკთა პროფესიული დაოსტატება. ამ საქმეში მნიშვნელოვნობა და სპატივულობა როლს ასრულებს ჩვენი თეატრალური ინსტიტუტი, რომელიც თავის დროშე აღმოცენდა რუსთაველისა და მარჯნიშვილის თეატრების სტუდიების გაერთიანების საფუძველზე.

თეატრალური განათლების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით პროფ. აკ. ფალავასა და ვ. ჭედლიშვილს, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს ჩამოყალიბებს დრომატული სტუდიები. თეატრალური ინსტიტუტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგებით. თავისი არსებობის მანძილზე მან ჩვენს თეატრებს უხვად მოუმზადა მაღალნიჭიერი მსახიობები, რეჟისორები, თეატრმცოდნები.

თეატრალური ინსტიტუტის კედლებში აღიზარდა დრამის 370 და მუსიკალური თე-

ატრის 30 მსახიობი, 80-მდე რეჟისორი და ამ-
დენივე თეატრმცოდნე. ინსტიტუტმა მოუმ-
ზადა მთელი გვიგვი მსახიობებისა და რეჟი-
სორებისა აფხაზეთს, აჭარას. სამხრეთ ოსეთ-
სა და დაღესტნის ნაციონალურ თეატრს.

გარდა თეატრალური ინსტიტუტისა, —
როგორც თბილისში, ასევე ბათუმსა და სო-
სუმში — ასესებობს კულტურანათლებლო
სასწავლებლები, რომლებიც საგანგებოდ ამ-
ზადებენ კადრებს კულტურის სახლებთან არ-
სებულ თვითმოქმედ კოლექტივებისათვის.

სამხატვრო აკადემიაში ჩამოყალიბებულია
დეკორატიული ხელოვნების ფაკულტეტი, რომელიც ამზადებს თეატრალური მხატვრე-
ბის კადრებს. ამ ფაკულტეტმა საინტერესო
კადრები შესძინა ჩვენს თეატრალურ ხელოვ-
ნებას: ხ. ვირსალაძე, ი. სუმბათაშვილი, დ. თა-
ვაძე, ფ. ლაპიაშვილი. მ. მალაზონია და სხვანა.

თეატრებისათვის მხატვარ-დეკორატორებს
ამზადებს აგრეთვე მოსე თოიძის სახელობის
სამხატვრო სასწავლებელი.

დღეისათვის საქართველოში 9194 ხელოვ-
ნების მუშაკი ითვლება, აქედან სახელმწიფო
თეატრების დასის წევრებად ირცხება 2646
შემოქმედებითი და სხვა დარგის მუშაკი, სა-
ხალხო თეატრების 720 მოღვაწე და კულტურა-
განმანათლებლო ქსელის 7754 მომუშავე.

ჩვენდა სამაყოდ უნდა ვაღიაროთ, რომ სა-
ქართველოს თეატრალურ ხელოვნებას ამშვე-
ნებებს მაღალი ნიჭით დაჯილდოებული შემოქ-
მენი. ჩვენ გვყავს 17 საბჭოთა კავშირის სა-
ხალხო არტისტი, 172 საქ. სსრ სახალხო არ-
ტისტი, 370 ხელოვნების დამსახურებული მო-
ღვაწე და 800-ზე მეტი დამსახურებული არ-
ტისტი.

90 ლენინური და სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი ამშვენებს ჩვენს თეატრალურ ხე-
ლოვნებას:

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ-
დე მსახიობი და ხელოვნების მუშაკი, საერ-
თოდ. უუფლებო იყო, თუ იგი მხოლოდ ხე-
ლოვნების სფეროს ეკუთვნოდა და არავითარ
სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას არ ეწეოდა.
დღეისათვის ჩვენ, თეატრების მუშაკები, თა-
ნაბარუფლებამოსილები ვართ სახელმწიფოს
მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღებისა-
თვის. მსახიობები, რეჟისორები და სხვა დარ-
გის ხელოვნების მუშაკები ფართოდ არიან
ჩამულნი სახელმწიფოს მართვის საქმეში.
მრავალი მათგანი მონაწილეობს ხელმძღვა-

ნელ პარტიიულ ორგანოებში, სახელმწიფო და
პროფესიულ ორგანიზაციებში. ბევრი ჩვე-
ნი ხელოვნების მუშაკი არჩეულია დეპუტა-
ტებად. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირის
უმაღლესი საბჭოს დეპუტატები არიან მედეა
ჭაფარიძე და ალ. მაჭავრიანი, ხოლო საქარ-
თველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად
ითვლებიან კომპოზიტორი ოთარ თაქთაქი-
შვილი, მსახიობები მედეა ჩახავა, თენიშ
მუშკულიანი. ნინო რამიშვილი, თამარ ბელო-
უსოვა, კომპოზიტორი რევაზ ლალიძე, თეატ-
რალური კრიტიკოსი ბესარიონ ულენტი

თბილისის საქართველოში არჩეულია
12 დეპუტატი ხელოვნების მუშაკებიდან. ასე-
ვე მრავლად არიან წარმოდგენილნი არჩევითს
ორგანოებში ხელოვნების მუშაკები საქართ-
ველოს სხვა ქალაქებსა და დაბებში.

ეს ბრწყინვალე დემონსტრაცია პარტიისა
და ხალხის ნდობისა თეატრისა და ხელოვნე-
ბის მუშაკებისადმი.

არ იქნება ინტერესმოქლებული გავიხსე-
ნოთ, რომ მოსკოვში ორჯერ ჩატარდა ქარ-
თული ლიტერატურისა და ხელოვნების დე-
კულა — 1937 და 1958 წწ.. — და ორივეჯერ
ეს დეკადები ბრწყინვალე წარმატებით მიმ-
დინარეობდა.

წარმატებით ჩატარდა აგრეთვე საოპერო
თეატრის მიერ მოწყობილი მრავალი გასტრო-
ლი მოსკოვში, ლენინგრადში და სხვა ქალა-
ქებში.

საინტერესოა აღინიშნოს. რომ რუსთავე-
ლის სახელობის თეატრი ხუთჯერ ეწვია სა-
გასტროლოდ მოსკოვს. ისიც უნდა გავიხსე-
ნოთ, რომ 1960 წლს რუსთაველის თეატრი
მოსკოვში ერთდოოლად ორ თეატრალურ შე-
ნობაში მართავდა სპექტაკლებს: კრემლისა
და ვახტანგოვის თეატრის შენობებში. ყოველ
საღამოს როვე დარბაზი ხალხით იყო საესე-
რუსთაველის თეატრმა ჩატარა აგრეთვე გას-
ტროლები: ლენინგრადში — 1933 წ., კიევ-
ში — 1939 და 1960 წწ.. ხარკოვში — 1930 წ..
ბაქოში — 1935 წ. და სხვა.

მრავალჯერ გაიტანა თავისი სპექტაკლები
ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ კ. მარ-
ჯანიშვილის სახელობის თეატრმაც. იგი ოთხ-
ჯერ ეწვია მოსკოვს. აგრეთვე განახორციელა
გასტროლები რიგაში, ხარკოვში, და ყოველ-
თვის უდიდესი წარმატებით.

კარგი ტრადიციაა დამყარებული ჩვენს
რესპუბლიკაში, რაც იმაში მდგრმარეობს,

ქართულ დრამატულ საზოგადოების პირველი გაშენება



ხაზინატარი
გ. თუმანიშვილი



თავმჯდომარე
ილია გავეავაძე



თავმჯდომ. ამხანაგი
აკაკი წერეთელი



მდიდარი
კ. უიფიანი



მ. ქ. უიფიანი



რ. ერისთავი



ნ. ქანანაშვილი


X

1881 წ.



ქართული დრამატული საზოგადოების პირველი ყრილობა. 1914 წელი.





საქართველოს თეატრალური საზოგადოების
თავმჯდომარე

შ ა ლ ვ ა ღ ა დ ი ა ნ ი


1948 — 1959 წ.წ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების
თავმჯდომარე

პ ა პ ა კ ი ხ ო რ ა ვ ა

1945 — 1948 წ.წ.

1959 — 1960 წ.წ.



რომ სეზონის დასასრულს დედაქალაქის წამყვანი თეატრები გადიან საჯარო როლოდ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში, ხოლო თბილისში ჩამოდიან საგასტროლოდ საქართველოს სხვა ქალაქების წამყვანი თეატრები.

ამგვარად თბილისის მაყურებელი საქმის კურსშია. თუ როგორ მუშაობენ ჩვენი სამუშაოს სხვა კუთხის თეატრები. ჩვენდა სასიხარულოდ და ამ თეატრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი შემოქმედებითი დონე უკანასკნელ წლებში საგრძნობლად ამაღლდა და ზოგი ამ კოლექტივთაგანი უსწორდება მხატვრულად ჩვენი სატახტო ქალაქის წამყვან თეატრებს.

საქართველოს მშრომელებმა შეაჯამეს განვლილი 1965 წლის მიღწევები სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და კულტურის დარგში. სიხარულით უნდა ვაღიაროთ. რომ გასული წელი ჩვენ წარმატებით დავასრულეთ. რაც დაგვირგვინდა იმით, რომ საქართველოს დროშა დამშვენდა ლენინის მეორე ორდენით ახალმა წელმა კიდევ ერთი დიდი

სიხარული მოგვიტანა — ეს გახლავთ შესა-ნიშნავი მეტროპოლიტენის ნაგებობა. სიამა-ყე ქართული ტექნიკური აზრისა და ხუროთ-მოძღვრული ხელოვნებისა.

ამ წარმატებებში ჩვენც, ხელოვნების დარგის მუშაკებსაც, მიგვიძლვის ერთგვარი წვლილი და ჩვენი შრომის ეს მაღალი შეფასება გვავალებს კიდევ უფრო ავამაღლოთ შემოქმედებითი უნარიანობა. ამისათვის თეატრებმა და მათმა ხელმძღვანელებმა მეტი პასუხისმგებლობის ეს შეგნება მოეთხოვებათ რეჟისორებს, მსახიობებს, მხატვრებს, ჩვენს დრამატურგებს და იმ მუშაკების მთელ არმიას, რომლებიც მოწოდებული არიან ემსახურონ ისეთ ფაქიზსა და სათუთ ხელოვნებას, როგორიც თეატრია.

ჩვენ შეგვიძლია და ვალდებული ვართ ეს მაღალი მოვალეობა პირნათლად და კეთილ-სინდისიერად შევასრულოთ.

დოდო ანთაძე.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ქართული დრამატული საზოგადოება

1856 წელს, მეფის მთავრობის ვერავი პოლიტიკის მეოხებით, გ. ერისთავის მიერ განახლებული პროფესიული ქართული ოეატრი დაიხურა. წარმოდგენების მართვა ჩამდენიმე წლით შეწყდა. მაგრამ ქართული პროფესიული თეატრის ხელახლა აღდგენის იდეა ქართველ მოწინავე საზოგადოებაში არ გამტრალა. ამ საქმის მოგვარება იყიდებოს გასულა საუკუნის სამოცაანი წლების მწერალ-მოლვა-წებმა: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვებმა. რომლებსაც სასცენო ხელოვნება ქართველი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერებისა და კულტურული ღონის ამაღლების უდიდეს საქმედ მიაჩნდათ.

თეატრზე ამ ორი დიდი მწერალ-მოლვაწის შეხედულებებს სხვა მათი თანამებრძოლიც იზიარებდნენ და ყველანი შეერთებული ძალით შეუდგნენ პროფესიული თეატრის აღდგენისათვის სამზადისს, ჩაც 18 წლის მანძილზე — 1861 წლიდან 1879 წლამდე — მიმდინარეობდა.

1861 წლიდან თბილისა და ქუთაისში სცენის მოყვარეთა წარმოდგენები იმართებოდა. შემდეგში მათ გორის, თელავის, ზუგდიდისა და საქართველოს სხვა ქალაქებისა და დაბა-სოფლების სცენის მოყვარენიც გამოეხმაურენ. სცენისმოყვარეთა წარმოდგენებს მთავარ ქალაქებში თვით სცენისმოყვარეთა მიერ არჩეული გამგეობები ხელმძღვანელობდნენ, სხვაგან კი მეტწილად წარმოდგენები სასცენო ხელოვნებით დაინტერესებულ საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობითა და მეთაურობით რმართებოდა.

სცენისმოყვარეთა წარმოდგენებმა მტკიცე ნიადაგი მოუმზადა პროფესიული თეატრის აღდგენას. მათი მუშაობის 18 წლის მნიშვნელი გამოვლინდა და გაიწვრთნა სამსახიობო ძალები. ისეთი პირებიც გამოჩნდნენ. ვისაც რეკისორობა შეეძლო და შემოქმედებითი მუშაობის პროცესში მათ ერთგვარი გამოცდილება მიიღეს. დაიწყო რეპერტუარის შექმნა-გაფართოება და გამოჩნდნენ დრამატურგები, დაგროვდა თვალსაჩინო რაოდენობის გარდერობი, ბუტაფორული ნივთები და სხვა. სპექტაკლების ღირსების თანდათანობით გაუმჯო-

ბესებამ გაამრავლა მაყურებელთა რიცხვი მაყურებელს თეატრში სიარული მოთხოვნა-ლებად გადაექცა.

1878 წელს თბილისში საქმე იქამდე მივიდა. რომ სასცენო ხელოვნების მოღვაწეთა წინაშე მკვეთრად დაისვა პროფესიული თეატრის აღდგენის საკითხი. ყველა დარწმუნდა. რომ მისი აღდგენისათვის ნიადაგი ყოველ-მხრივ იყო მომზადებული და დაუყოვნებლივ უნდა გადაღვეულიყო პრაქტიკული ნაბიჯები. გადაწყდა ე წ. საცდელი სეზონის მოწყობა. სეზონის დამთავრების შემდეგ ერთხელ კიდევ უნდა აეწონ-დაეწონათ მდგომარეობა და ისე ემოქმედნათ. შედეგა სათეატრო კომიტეტი, რომლის შევრებიც იყვნენ: დ. ყიფაინი, ნ. ავალიშვილი. ალ. სარაჯიშვილი. გ. თუმანიშვილი, დ. ბაქრაძე. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დ. ყიფაინი

1878 — 1879 წლების სეზონი საცდელი სეზონი იყო. ცდამ კარგი შედეგი გამოიღო. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ გადაწყდა 1879 წლისან დაარსებულიყო პროფესიულ მსახიობთა დასი. პროფესიული თეატრის პირველი სეზონი ამავე წლის სექტემბრის დასაწყისში გაიხსნა.

თეატრის ხელმძღვანელი ორგანიზაცია — სათეატრო კომიტეტი — უფრო კომპეტენტური რომ ყოფილიყო. იგი ახალი წევრებით შეიტანა. ესენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი. ივანე მაჩაბელი. დავით ერისთავი და დავით სარაჯიშვილი. სამუშაოდ სხვა ქალაქში გადაყვანის გამო კომიტეტის შედგენილობიდან გამოვიდა ალ. სარაჯიშვილი. რეორგანიზებული კომიტეტის თავმჯდომარედ ი. ჭავჭავაძე იორჩიეს.

კომიტეტის დავალებით დ. ერისთავმა და გ. თუმანიშვილმა პირველი პროფესიული დასი შეადგინეს (11 მსახიობის შედგენილობით). 1879 წ. 31 მაისს პირველი ხელშექრულება დაიდო. დასი მაშინვე შეუდგა შუშა-ობას. 1879 წლის 1 (14) სექტემბრის აღდგენილმა პროფესიულმა თეატრმა გახსნა პირველი სეზონი. მაყურებელს უჩვენეს ბარბარე ჭორჭაძის კომედია „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ და რაც ერისთავის მიერ რუსულიდან

გაღმოკეთებული ვოდევილი „ეჭვიანი“. სპექტაკლს პრესაც და მაყურებელიც აღფრთვა-ნებით შეხვდნენ.

ამის შემდეგ პროფესიული ქართული თეატ-რი აღარ დახურულა და მას შუღლივი ქართუ-ლი თეატრი უწოდეს.

მცირერიცხოვან წევრთაგან შემდგარ და არათოვიცალურ ორგანიზაციას — სათეატრო კომიტეტს უველაფრის გავეთებისა არც უფ-ლება ჰქონდა და არც საშუალება. ამიტომ ჩვენმა მოღვაწეებმა საჭიროდ დაინახეს უფ-რო ფართო და კომპეტენტური ორგანიზაცი-ის შექმნა. რომლის გარშემო, გარდა თეატრა-ლური მოღვაწეებისა და მწერლებისა. დაი-რაზმებოდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებით დაინტერესებული საზოგადოების დიდი ნაწილი... და გადაწყდა თბილისში „ქართული დრამატული საზოგა-დოება“ დაარსებულიყო. სათეატრო კომი-ტეტმა წესდების შედგენა მიანდო ცნობილ მწერალს ნიკო ნიკოლაძეს. შემდეგ მოეწყო დრამატული საზოგადოების დამფუძნებელთა კრება. წესდების პროექტი განიხილეს, შეას-წორეს და დასამტკიცებლად კავკასიის უმაღ-ლეს მთავრობას — მეფისნაცვალს წარუდგი-ნეს. ეს მოხდა 1879 წლის ზაფხულის დასა-წყისში.

საზოგადოების დამფუძნებლები მეტწილად იყვნენ მწერლები. მსახიობები და სხვა დარ-გის მოღვაწენი, სულ 29 კაცი. მათ შორის: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, დ. ყიფაიანი. რაფ. ერისთავი. ალ. ყაზბეგი, ანტ. ფურცელაძე. ივ. მაჩაბელი. იონა მეუნარგია, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფაიანი. ნიკო ავალიშვილი, ალ. ბერი-ძე (მხატვარი). იოსებ ბაქრაძე. ნიკ. ერისთავი და სხვანი.

წესდების დამტკიცება თითქმის ერთი წე-ლიწადი გაჭიანურდა. ბოლოს, როგორც იქნა. დამფუძნებლებმა მიიღეს ოფიციალური ცნო-ბა. რომ „დიდმა მთავარმა (იგულისხმება მა-ხეილი) კავკასიის მეფისნაცვალმა წესდების დამტკიცება“ ინება 1880 წლის 20 ივნისის თარიღით“.

წესდების მიხედვით დრამატულ საზოგა-დოებას ფართო სამოქმედო ასპარეზი ჰქონდა გადაშლილი: მისი სამოქმედო არე მარტო თბილისით არ შემოიფარგლებოდა, — იგი სათეატრო საქმის მეთაურობა-ხელმძღვანე-ლობას მთელი კავკასიის ფარგლებში კისრუ-ლობდა. სადაც კი ქართველები ცხოვრობ-

დნენ; მას უფლება ეძლეოდა ჰყოლოდა საკუ-თარი მსახიობთა დასი და სისტემატურად ემართა წარმოდგენები. ეძლია სუბსილიები ქართულ წარმოდგენების მომწყობთათვის. გამოეცა საკუთარი უურნალი ან გაზეთი. მცე-ცა პონორარი დრამატურგებისათვის, საჭი-როების კვალობაზე გამოეცხადებინა კონ-კურსი საუკეთესო პიესებზე. მოეწყო მსახი-ობთა მოსამზადებელი დრამატული კურსები, დახმარება გაეწია მსახიობთათვის, შეეძინა უამრავი ქონება ამა თუ იმ საჭიროებისათვის, ჰქონდა გამომცემლობა პიესებისა და ლიბ-რეტოების გამოსაცემად და სხვა.

დრამატულ საზოგადოების სავსებით დამო-უკიდებლად მოქმედების უფლება არ ჰქონდა. წესდებაში ნათქვამი იყო, რომ „ყოველ თავის მოქმედებაში საზოგადოება ემორჩილება ცენტურის წესდებას და პოლიციის განკარ-გულებას“.

საზოგადოების მიერ დასახული მიზნების განხორციელებისათვის, რა თქმა უნდა, ფულა იყო საჭირო. წესდებით საზოგადოების შე-მოსავალს შეადგინდა: საწევრო გადასახადე-ბი. წარმოდგენებიდან შემოსული ფული, გა-მოცემებიდან მიღებული თანხები და შემ-წირულებანი.

წესდების დამტკიცების შემდეგ დრამატული საზოგადოების ორგანიზაციულად ჩამოყალი-ბება თთქმის შვიდ თვეს გაჭიანურდა და მხოლოდ 1881 წლის 18 (30) იანვარს მოწვე-ულ იქნა პირველი საერთო კრება. ამ კრებაზე იორჩიეს დრამატული საზოგადოების პირვე-ლი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: ილ. ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), აკ. წერეთელი (თავმჯდომარი), კ. ყიფაიანი (მდი-ვანი), გ. თუმანიშვილი (ხაზინადარი). რაფ. ერისთავი, მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფაიანი და ნიკ. ქანანაშვილი. დაწყებული აქედან დრამა-ტული საზოგადოება ხელმძღვანელობდა სა-თეატრო საქმეს.

1905 წლიდან ჩვენში სათეატრო საქმე გან-საკუთრებულად გაიშალა. თბილისის დრამა-ტულ საზოგადოებას საქმის გასაძლოლად არც ნივთერი სახსრები ჰყოფნიდა და არც ფიზი-კური შესაძლებლობა. ამიტომ ბუნებრივად წამოიჭრა ადგილებზე დრამატული საზოგა-დოებების დაარსების საკითხი. 1907 წ. დრა-მატული საზოგადოება დაარსდა ჭიათურაში, 1909 წელს ქუთაისში, 1903 წელს ბათუმში. ამავე პერიოდში ასეთივე საზოგადოებები და-

არსდა ფოთში, ოზურგეთში (მახარაძე), სუ-
რამში და სხვა აღგილებშიც.

ახლად დაარსებული დრამატული საზოგა-
დოებები წესდების მიხედვით დამოუკიდებე-
ლი ორგანიზაციები იყო და თვითეული მათ-
განი აღგილობრივი პირობების კვალობაზე
მოქმედებდა, მაგრამ მათი მუშაობის არე შე-
მოფარგლული იყო. ამიტომ. როცა დაისმე-
ბოდა ისეთი საკითხები, რომლებიც საერთოდ
ქართული თეატრის საქმიანობას ეხებოდა, მა-
შინ ყველანი თბილისის დრამატულ საზოგა-
დოებას მიმართავდნენ და ასეთ საკითხებს
მასთან შეთანხმებით სწყვეტდნენ.

1911 წელს თბილისის დრამატული საზო-
გადოების მეთაურობით მოეწყო ახალგაზრდა
მსახიობთა მოსამზადებელი ორწლიანი კურ-
სები. ამ კურსებმა ბევრი ნიჭიერი მსახიობი
შესძინა თეატრს.

1914 წელს სრულიად საქართველოს სცე-

ნისმოყვარეთა პირველი ყრილობა შედგა.
ყრილობამ განიხილა თეორიული და პრაქ-
ტიკული საკითხები და დასახა ლონისძიებები,
რაც ქართული თეატრის მუშაობას შემდეგში
საფუძვლად უნდა დასდებოდა. მიღებულ ლო-
ნისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლა
დრამატულ საზოგადოებებს დაევალა. ამას-
თან გამოითქვა სურვილი, რომ ასეთი თათბი-
რები შემდეგშიაც ყოფილიყო მოწვეული.
პირველმა მსოფლიო ომმა და მომდევნო ამ-
ბებმა ყრილობის დადგენილებათა განხორცი-
ელება შეაფერხა, მაგრამ ქართული დრამა-
ტული საზოგადოება მთელი ორმოცი წლის
მანძილზე მარც გაუძლვა ჩვენში სათეატრო
საქმეს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფ-
ლების დამყარებამდე იარსება.

სერგო გერსამია.

ტრადიციული დღესასწაული

ახალი ეპოქის ქართული ხელოვნება. უკაფესისა და მშვენიერებისაკენ სწრაფვის გარდა. ოდამიანს იმაზეც აუიქრებს. რითაც წინათაც იყო იგი გამსჭვალული: საზოგადოებრივი ინტერესით. მოვალეობის მოქალაქეობრივი შეგნებით, პატრიოტიზმითა და თანადროულობის დიდი გრძნობით. ამიტომ არის. რომ ყველა ჩვენგანი 14 იანვარს მოწინებით ხრის თავს დიდი მოღვაწის, პროფესიული თეატრის ფუძემდებლის გიორგი ერისთავის ნათელი და საპატიო ხსოვნის წინაშე.

116 წლის წინათ, 1850 წლის 14 იანვარს (ძველი სტილით 2 იანვარს). გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით პირველი პროფესიული წარმოდგენა გაიმართა განახლებულ ქართულ სცენაზე. აღა მაპაძ ხანის მიერ მთელს აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად დარბეულ და განადგურებულ ერეკლეს კარის თეატრს აღმოუჩნდა ღირსეული გამგრძელებელი.

გიორგი ერისთავი იყო რეჟისორიც. პედაგოგიც. ანტრეპრენიორიც, დრამატურგიც. მან აღადგინა და ამავე დროს მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ რეალისტურ თეატრს. მართალია, აღდგენილმა თეატრმა დიდხანს ვერ იასებდა, მაგრამ მის თეატრალურ ხელოვნებაში განმტკიცებულმა რეალისტურმა მეთოდმა შემდეგშიც იხარა. ამ გზიდან ჩვენს თეატრს არასოდეს გადაუხვევია.

ქართული თეატრის აღდგენის აღსანიშნავ დღედ 14 იანვარი პირველად 1884 წელს იღლესასწაულეს. შემდეგ წლებში თბილისის დრამატული დასი და სახალხო თეატრები მუდამ დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ ამ თარიღს. ასევე ხდებოდა ქუთაისა და საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 14 იანვარი იქცა ქართული თეატრის საზეიმო დღედ. 1923 წელს კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით რუსთაველის თეატრში მოეწყო ამ დღისადმი მიძღვნილი საზეიმო წერმოდგენა; აჩვენეს ზურაბ ანტონოვის კომედია „მზის ტაბნელება საქართველოში“.

ასე გაგრძელდა 1927 წლამდე, მაგრამ შემდევ ეს დღესასწაული დავიწყებას მიეცა.

1962 წლიდან რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით კვლავ აღდგა „ქართული თეატრის დღე“ და იგი ყოველწლიურად იმართება. წლეულს ამ თარიღს დაემთხვა ქართული დრამატული საზოგადოების 85 და საქართველოს თეატრალური საზოგადოების 20 წლისთავი.

ქართული დრამატული საზოგადოება — თეატრალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეიქმნა 1881 წლის 17 იანვარს. მისი მიზანი იყო ხელი შეეწყო ქართული ეროვნული თეატრის განვითარებისათვის, გაეერთიანებინა ქართული თეატრის პროფესიული მოღვაწეები. მისი პირველი თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე. მოადგილე — აკაკი წერეთელი. გამგეობაში შედიოდნენ აგრეთვე რაფიელ ერისთავი, კოტე ყიფიანი, გიორგი თუმანიშვილი. მიხეილ ყიფიანი და კონსტანტინე ქანაშვილი.

ქართული დრამატული საზოგადოება დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა თბილისის ქართულ დრამატულ დასს. მას ჰქონდა განყოფილებები ქუთაისში, ჭიათურასა და ბათუმში, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ აღგილობრივ პროფესიულ და სცენისმოყვარეთა თეატრებს. ამ საზოგადოების გამგეობამ 1914 წელს მოიწვია ქართველ სცენისმოყვარეთა პირველი ყრილობა, რომელმაც განიხილა შემოქმედებითი და საპროგრამო საკითხები.

ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ იასება 1921 წლამდე. ილია ჭავჭავაძის ინიციატივით შექმნილი დრამატული საზოგადოების ვალდებულებანი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თვით სახელმწიფომ იკისრა. მან თეატრებს პირველი დღიდანვე დაუნიშნა დოტაცია და ამით მტკიცე მატერიალური ბაზა შეუქმნა. ასეთმა ზრუნვამ თეატრების შემოქმედებითი მუშაობა უფრო მეტად განამტკიცა. შემოქმედი მუშაკები მეტი ენთუზიაზმით შეუდგნენ მუშაობას. არნახული ტემპით განვითარდა ხელოვნების ყველა დარგი. განსაკუთრებული წინსვლა დაეტყო ქართულ თეატრალურ ხელოვ-

ნებას. თეატრებთან გაიხსნა არა ერთი და ორი სტუდია, მუსიკალური სკოლა. დაარსდა თეატრალური ინსტიტუტი. შეიქმნა ხელოვნების მუშაქთა მრავალრიცხოვანი არმია. რომელიც მოითხოვდა ერთ შემოქმედებითს ორგანიზაციაში გაერთიანებას.

ცხოვრებამ დააყენა ისეთი დაწესებულების დაარსების საკითხი, რომელიც ქართული თეატრალური ხელოვნების მძლავრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია გახდებოდა და თეატრის ყველა შემოქმედ მუშაქს გააერთიანებდა. და მართლაც შეიქმნა საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

თეატრალური საზოგადოების დაარსების აზრი საქართველოში წინათაც არსებობდა. მაგრამ იგი დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ უფრო რეალური გახდა. რაღაც დიდი გეგმები დაისახა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დაარგში. ამასთან დაკავშირებით, ცადია, სცენის მუშაქთა წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანები. რომელთა განხორციელებაში თეატრალურ საზოგადოებასაც უნდა მიეღო აქტიური მონაწილეობა.

1945 წლის დეკემბერში მოწვევულ იქნა პირველი დამფუძნებელი ყრილობა, რომლის პირველმა პლენუმმა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია აკაკი ხორავა, მოადგილედ შალვა დადანი, ხოლო პასუხისმგებელ მდივნად სერგო გერსამია. ამათ გარდა პრეზიდიუმის წევრებად აირჩიეს ვერიკო ანგაფარიძე. დოდო ანთაძე. დავით ანდოლაძე. შალვა აფხაძე. იოსებ გრიშაშვილი. აკაკი ვასაძე. ალექსანდრე თაყაიშვილი, შალვა ლამბაშიძე და სანდრო შანშიაშვილი.

ახლად ჩამოყალიბებულ საზოგადოებას რესპუბლიკის ზემდგომმა ორგანოებმა პირველ ხანს ერთდროული დახმარების სახით მისცეს 400.000 მანეთი, ხოლო რუსთის თეატრალურმა საზოგადოებამ დაუბრუნებელი სესხის სახით — 100.000 მანეთი. ამავე დროს საზოგადოების შემდგომი მუშაობის გასამლელად მოეწყო დამხმარე საწარმოები. რომლებიც თანდათანობით საზოგადოების მუდმივი შემოსავლის წყაროდ და მატერიალურ ბაზად გადაიქცნენ. ამან თეატრალურ საზოგადოებას საშუალება მისცა გაეშალა ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა.

აკაკი ხორავას შემდეგ საზოგადოებას 10 წელიწადზე მეტს თავმჯდომარეობდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა

დადიანი. რომლის გარდაცვალების შემდეგ მცირე დროით კვლავ აკ. ხორავაშ განაგრძო თავმჯდომარეობა, — 1960 წლიდან კი ამ პოსტზე აირჩიეს დრამატურგი მიხეილ მრევლაშვილი. 1962 წლიდან საზოგადოების პრეზიდიუმს თავმჯდომარეობს რესპუბლიკის სახლობ არტისტი დოდო ანთაძე.

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას კეთილშობილი და საატრიო მოვალეობა აკირია. იგი მოწოდებულია დაეხმაროს ხელოვნების ჩაყენებას ხალხის სამსახურში. თეატრის ცხოვრებასთან დაახლოებას და მათ შორის მჭიდრო კავშირის განმტკიცებას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობაში ყოველთვის დგას ერთი მთავარი საკითხი — ჩვენი თეატრალური კულტურის შემდგომი ამაღლება. თეატრის მუშაქთა დაოსტატება. საზოგადოებამ ცოტა მუშაობა როდი გასწია, რათა გამოევლინებინა დრამატურგთა ახალი კადრები, ამაღლებულიყო სცენის ოსტატთა კვალიფიკაცია. ამ მიზნით ეწყობოდა კონკურსები თანამედროვეობის თემაზე დაწერილ პიესებზე. ბევრ მსახიობსა და რეჟისორს მიეცა შემოქმედებითი მივლინება, ეწყობა წარმოდგენების გარჩევადის შესუტები, სემინარები, თეატრალური მხატვრების ნამუშევართა გამოფენები როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე რესპუბლიკის გარეთ. მაყურებელთა კონფერენციები. შემოქმედებითი სალამოები, იუბილეები და მრავალი სხვა.

ყველივე ეს გარკვეულად დაეხმარა ჩვენს თეატრებს მხატვრული ოსტატობის ამაღლებაში. მიღწევები დიდია. მაგრამ საკმარისი მაინც არ არის. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მხოლოდ პრინციპული. მეგობრული კრიტიკითა და ანალიზით შეიძლება ჩვენი თეატრების მუშაობაში არსებული ჩრდილოვანი მხარეების აღმოფხვრა და თეატრალური ხელოვნების იმ სიმაღლეზე აყვანა. როგორსაც მოითხოვს ჩვენი ხალხის აწმყო და მოვალი სხვა.

ქართული თეატრის დღე ჩვენში ყოველთვის საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხელოვანთა ურთიერთობის ზრდისა და განმტკიცების. ძალთა დათვალიერების, მხატვრული და იდეური დონის შემოწმების, თეატრის პრესტიუსისა და გავლენის ამაღლებისათვის ბრძოლის ნიშნით ეწყობა.

სახელოვანი ოცნებელი

ჩვენს თეატრს დაარსებიდანვე ეროვნულ-გამათვისუფლებელი იდეების. პროგრესული იდეების პრაქტიკანდა დაეკისრა. ქართული თეატრი თავიდანვე ქართული კულტურის ძლიერი კერა იყო, ტრიბუნა იყო. საიდანაც გაისმოდა ქართული სიტყვა. მეზნებარე პატ-რიოტული მოწოდება. თეატრი ჩვენი ხალხი-სათვის არასტროს ყოფილა გასართობი, თავ-შესაქცევი, დროის გასატარებელი ადგილი: იგი იბრძოდა საკაცობრივი იდეალებისათვის. ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის.

ჩვენი ხალხის დიდი მოჭირნახულენი ილია ჰავკავაძე. აკაკი წერეთელი და ქართული კულტურის სხვა გამოჩენილი მოღვაწენი ღიდ ყურადღებას უთმობდნენ თეატრს. ისინი თე-ატრი ერთერთ მძლავრ იარაღად სთვლილენ ხალხში ეროვნული თვითცნობიერების შესა-ტანად, მას წმინდა ტაძარს უწოდებდნენ, რო-მელმაც ხალხს გონებრივი და ესთეტიკური საზრლო უნდა მიაწოდოს. ამიტომ იყო. რომ ილია და აკაკი ასეთ მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ქართული თეატრის საქმიანო-ბაში. დრამატული საზოგადოების მუშაობა-ში. ეს საზოგადოება ქართულ თეატრს დახმა-რებას უწევდა იდეოლოგიის სფეროში—რე-პერტუარის შედეგნაში. — ამასთანვე შეძ-ლებისდაგვარად მატერიალურადაც ეხმარე-ბოდა. ილიას და აკაკის სახით ქართული მწე-რლობა გვერდში ედგა თეატრს და თავის მზრუნველობას არ აკლებდა.

დრამატული საზოგადოების მაგივრობა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში თეატ-რალურ საზოგადოებას დაეკისრა. მისი დაარ-სების ინიციატივა თავს იდვა ჩვენმა გამოჩე-ნილმა საზოგადო მოღვაწემ და მსახიობმა. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ხორვაშ. ეს მოხდა 1945 წელს. ჩვენი ხალხის ღრმა მწუხარებისა და სიხარულის წელს. მან თავის გარშემო შემოიკინა ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი და საფუძველი ჩაუ-ყარა თეატრალურ საზოგადოებას. უკანას-კნელს საგრძნობი მატერიალური და მორა-ლური დახმარება აღმოუჩინა ჩვენმა ხელი-სუფლებამ და იმ დროისათვის კარგა მოზრ-დილი თანხებიც მისცა მუშაობის გასაშლე-

ლად. თეატრი, ისევე როგორც ჩვენი ხალხის სხვა კულტურული ცენტრები. სახელმწიფოს ხელშია და ამიტომ, დრამატული საზოგადო-ებისაგან განსხვავებით. თეატრალურ საზოგა-დოებას სხვა პირობებში მოუხდა მუშაობა.

მასსოვს. რა აღტაცებით შეუდგნენ საქმეს საზოგადოების პირველი თავმჯდომარე აკ. ხორავა და მთელი პრეზიდიუმი. საზოგადო-ების მუშაობაში ჩაენდნენ ჩვენი თეატრის გამო-ჩენილი მოამაგენი. ხელოვნების მუშავები, მწერლები იოსებ გრიშაშვილი. სანდრო შან-შიაშვილი და სხვები, რომლებიც არც დროს იშურებდნენ, არც გამოცდილებას და თეატ-რალურ საზოგადოების საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. პირველი ხანები-დანვე ეწყობოდა მოხსენებები სასცენო ხე-ლოვნების. ჩეპერტუარისა და სხვა აქტუა-ლურ საკითხებზე. თეატრალურ საზოგადო-ებაში და თვით თეატრებში მსახიობთა და მა-ყურებელთა მონაწილეობით ეწყობოდა მიმ-დინარე სპექტაკლების განხილვა; ასეთივე განხილვები ეწყობოდა რაიონებში. პირველ ხანებში შედარებით სუსტი იყო საზოგადო-ების მატერიალური ბაზა. ამიტომ მთავრობის ნებართვისა და მისი მზრუნველობის შედეგად მოეწყო საწარმოო განყოფილება

თავიდანვე პრეზიდიუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო თეატრის საკითხებზე შრომების, მემუარული ლიტერატურის, თე-ატრის გამოჩენილ მოღვაწეებზე მონოგრაფი-ების, პირების გამოცემის საქმეს. პრეზიდი-უმი ითვალისწინებდა. რომ თუ ასეთი ლიტე-რატურა არ გვეძნებოდა. შეუძლებელი იქნე-ბოდა ქართული თეატრის დიდი ეროვნული დანიშნულების გაშექება. შეიძლება ითვას-რომ ამ მხრივ თეატრალურმა საზოგადოებამ საპატიო როლი შეასრულა. დიდი ეროვნული საზოგადოებრივი საქმე გააკეთა. მის საქმი-ანობას შემდეგში ხელმძღვანელობდა გამოჩე-ნილი მწერალი, დრამატურგი. საზოგადო მო-ღვაწე, ქართული თეატრალური ხელოვნების მესვეური. ჩვენი საყვარელი შალვა დადიანი. რომელთან მუშაობაც, მასსოვს. ყველას სია-მოვნებას ჰგვრიდა. ამის შემდეგ საზოგადო-ებას ერთხელ კიდევ ჩაუღა სათავეში მისა

დამაარსებელი აკ. ხორავა. შემდეგ კი იგი შე-
ცვალა მწერალმა მის. მრევლიშვილმა.

დღეს ამ სახელმოხვეჭილ და საკმაო ავტო-
რიტეტის მქონე საზოგადოებას ხელმძღვანე-
ლობს ქართული თეატრის თვალსაჩინო მოღ-
ვაწე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი და რე-
ჟისორი დოდო ანთაძე.

თეატრალურმა საზოგადოებამ არსებობის

ძნელი და სახელოფანი გზა განვლო, ბევრი რამ
გააკეთა. მაგრამ გასაკეთებელი უფრო მეტი
დარჩა. მას ყველა პირობა აქვს, რომ მეტნა-
ყოფიერებითა და ენერგიით განაგრძოს მუშა-
ობა და კეთილდღ შეასრულოს ის მოცანა,
რასაც მას ხალხის, ეროვნული კულტურის ინ-
ტერესები უკარნახებს.

შალვა აფხაზე





საქართველოს თეატრალური საზოგადოების პირველი პრეზიდიუმის წევრები:

ა. ხორავა, შ. დაჭიანი, დ. ანდოულაძე, დ. ანთაძე, გ. ანჯაფარიძე, ა. ვასაძე,
ი. გრიშაშვილი, უ. ღამგაშვილი, ს. გარსამია, ა. თამარიშვილი,
ს. შანაშვილი, გ. ვენაძე. 1945 წ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ ი ხ ი ლ მ ი რ ი უ ლ ი

1960 — 1962 წ.წ.





საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრთა ერთი ჯგუფი.



საქართველოს თეატრალური საზოგადოების

პრეზიდიუმის თავმჯდომარე

დოდო ანთაძე

თარიღები და სინამდვილე

ამბობენ. ლირსშესანიშნავი თარიღები გაპრავლდა და დავილუპენითო. სხვისა არ ვიცი და, მე კი ამას სასიქადულოდ ვთვლი. სულიერად უმწეოთა და გვარით ღარიბთა თუ არა ექნებათ რა მოსაგონარი და თაყვანისსაცემა, არავინ ეყოლებათ სახსენებელი. არა შეაყვარებთ რა წარსულსა და მავალითად არ გაიხდიან იმ წინაპართა ცხოვრებას და ბრძოლს. რომელთაც თავისი გუშინდელით ჩვენს დღევანდელს გზა გაუნათეს. შრომა და ჭირთათმენა ასწავლება; იმ ქართული ანდაზისა არ იყოს — შვილმა თუ მამას აჭობა — ეს სიკეთება მმულისა, მაგრამ ამით შარავანდელი მშობლისა კი არ იჩრდილება, არამედ იზრდება!

მართალია, დროი თაობებით ამაყობს. თაობა თავისი ფალავნებითა და ამ ფალავანთა მონახვეჭარით. მაგრამ თაობათა შეჯიბრი ჩვენი ცხოვრების წინსვლისა და აღმავლობის უწყვეტი ჯაჭვია. დღეს თუ ქართული დრამატული საზოგადოების ოთხმოცდახუთი წლისთვის, ამას საქართველოს თეატრალური საზოგადოების ოცი წლისთვიც ემატება და ორივე ერთად საუკუნეს აქარბებს. ეს-კი თავისთვად თეატრალური კულტურის დიდი ტრადიციების აღორძინებაზე და წინსვლაზე ღალადებს.

ქართველ მოღვაწეთა საზრუნავი მე-19 საუკუნეში, სხვა ბევრ საზრუნავთა შორის, ეროვნული თეატრის ბედილბალიც იყო. ქართველი ხალხის ტკიცილების მომფრონებელი და მისი ნატერის ფიქრომფლობელი დიდი ილია დღე — თუ ბანკის საქმეებში იქექებოდა. რათა ერთ უმიწაწყლოდ არ დარჩენილიყო, საღამოთი წერა-კითხვის გამვრცელებელი საზოგადოების ქველმოქმედებაზე ზრუნვდა, რომ კაცი უანბანო არ ყოფილიყო, — ღამით თავეს სამუშაო ოთახში ჩაეტილი ხან ოთარანთ ქვრივს მოუხმობდა საბასონდ, ხან ლუარსაბ თათქარიძეს საკიცხავად და ხან თანამოქალმეთ ერის საკეთილდღეო მომავალზე საზრუნავდა. სწორედ ამ მზრუნველობამ და ეროვნული თეატრის სიყვარულმა დაბადა „ქართული დრამატული საზოგადოება“ და

სწორედ ამ საზოგადოებამ შეუწყო ხელი ხელოვნების იმ ტაძრის დადგენას. საღაც თვითმშერობელობის დროს უფლებააყრილი ქართული სიტყვა ობლად ღალადებდა მრევლში.

მაგრამ ამ ორი თარიღის გაერთიანება ანგარიშებაც არის და, მაშასადამე, შედარებაც. თუ ილიას „ივერია“-ზე ხელისმომწერთა სიმცირე აწუხებდა. ჩვენ შეგვიძლია თამამად წარვიდგეთ მის წინაშე და სიხარულით მოვახსენოთ, რომ დღეს ქართული უურნალ-გაზეთების ერთდროული ტირაჟი მიღიონს აჭარბებს. თუ მამა ქვეყნისა ათიოდ სწავლულ აგრძონმსა და ინუინერზე ოცნებობდა, დღეს მათი სიმრავლე ხუთხაშნიანი რიცხვით იზომება. თუ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თავის წევრებს და რწმუნებულებს თითებზე ითვლიდა, დღეს მეცნიერთა. მწიგნობართა და ხელოვნების მუშაკთა დასი ერკელე მეფის ლაშქრიონს ხუთხერ მაინც აღემატება. ხოლო მათ შორის ქართული თეატრის ოსტატთა ოჯახი საბჭოთა სკონის მოწინავე რიგებში დგას.

ცხადია, ეს რიცხობრივი აღმავლობა ხსრისხობრივი წარმატების საწინდარია და სწორედ ამ წარმატებაზე ყოველდღიურად უნდა იზრუნოს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ სხვა შემოქმედებითს ორგანიზაციებთან ერთად.

არე მოღვაწეობისა თვალუწვდენელია. ეპოქა რთული და ბევრის მომთხოვნია. აბგარასხმული მხედრიონის საქართველო წავიდა და სოციალისტურ სამყაროში ეროვნული საკითხი მყარ ნიადაგზე დადგა, მაგრამ ეპოქალურ ძვრებს ახალი ამოცანები მოჰყავა. საჭიროა დიდი აღლო და თავდადებული შრომა, რომ განათლებულ ერთა ოჯახში დარჩე. წარსული ამის სრულ უფლებას გვაძლევს, მომავალი ჩვენი შრომით და ცოდნით იჭედება. მართალია, ჩვენ ეთიკური უფლება არა გვაქვს ვწეროთ ისტორია ჩვენი ქვეყნისა. რადგან შეფასება ნამოღვაწარისა საბოლოოდ მომავლის საქმეა. მაგრამ ჩვენ არც იმისი უფლება გვაქვს — ისტორია გავაღარიბოთ და საკვები არ მივცეთ ხვალინდელ დღეს.



მეოცე საუკუნე ჭადოსნურია თავისი პოლიტიკური, სოციალური და ტექნიკური ძვრებით. დრო და სივრცე ჰყარგავს ჩვენთვის ჩვეულებრივ განხომილებას. გუშინ ზღაპარში მოყოლილი დღეს ხელშესახები ხდება. ზღვარი აღარა აქვს ადამიანის გონიერას და ახლა ის უკვე კოსმიურ სივრცეებში იჭრება. მსოფლიოს პირველმა კოსმონავტმა იური გაგარინმა შეუცნობის ზღვარი გადაღახა, ამირანივთ ღმერჩებს შეეჭიდა და ჰამლეტის „საკოთხვი“ მოხსნა. — იქ მხოლოდ უსასრულობა და შავეთიაო, — გვამცნ გაგარინმა და თანაც დასძინა. — ამ შავეთში ჩვენი დედამიწა წარმტაცად ბრწყინავს და ფერთა კრთომაში ლივლივებსო... ამ დღიდან კაცობრიობა სამუდამოდ გამოეთხოვა ზღაპრებს. ზღაპრები მათემატიკურმა ფორმულებმა შესცვალუს. ახლა ფოლადის სამუშაო ზედაპირი მილიმეტრის მეასედებით იჩომება, მისი გამძლეობა გრადუსების მეათედებით. ზუსტად გაანგარიშებული. ცაში ატყორცნილი ლითონის ბურთი წუთში გვაკავშირებს დედამიწის ყველა კუთხესთან და მთვარეზე გადაღებულ სურათებს უკან გვიგზანის. ჩვენ შევჩერებივართ მზეთუნახევის საოცნებო სარკეს, ვუყურებთ, ვუსმენთ და გაკვირვების დროც აღარ გვრჩება.

ამ სასწაულების ზეგავლენის წყალობით ჩვეული წონასწორობა დაირღვა და ოდესლაც საოცნებო გარემო გაშიშვლებულ სატრაქოს დაემგვან. ცხოვრების რითმის კიბერნეტიკულმა სისტრაფემ აიყოლია. ინფორმაციათა სიმრავლემ ყოველივე მოლოდინს გადაჭარბა. ადამიანის ემოციურ სამყაროში ხელოვნების აღქმის ახალი საშუალებანი შემოიწრნენ. კინომ, რადიომ და ტელევიზიამ მტკიცედ დაიმკვიდრეს თავისი ადგილი ყოფაში და ყოველივე ამან ადამიანი ციბრუტივით დაატრიალა იმ ოცდაოთხ საათიან დღე-ღამეში, რაც ბუნებამ დაუწესა მას ჯერ კიდევ ადამიანობრის.

დროის ბალანსის ამ დაძაბულობამ. უპირველეს ყოვლისა. ადამიანის ოდით მეგობრე-

ბი, მისი სულის მესაიდუმლოენი — მხატვრული სიტყვა და თეატრი შეავიწროვა. ზოგიერთმა სულსწრაფმა თეორეტიკოსმა დასავლეთში ანტირომანის, ანტიდრამის და საერთოდ ანტიემოციის უცნაური თეორიები წამოყენეს. ჩვენში ზოგმა ლირიკას ფიზიკა და უპირისპირა და ზოგმა ტრადიციას ნოვატორობა. ეგ არის, რომ ცოცხალ სიტყვას ვერაუერი ვერ მოუხერხეს. რადგან დამუნჯება კაცობრიობისათვის სასიცდილო აღმოჩნდა.

სიტყვა ყოფის საძირკველია. სიტყვის უგულებელყოფამ შეიძლება კატასტროფამდე მიიყვანოს თეატრი, თუ თეატრმა ცოცხალი სიტყვის მეშვეობით არ შეინარჩუნა თრთოლვა უშუალო განცლისა, გრძნეულება თვალებში ცქერისა, ერთი სიტყვით მაყურებელთან უშუალო კონტაქტისა. როგორც ამას თეატრალები ამბობენ. და ამ კონტაქტის გაღრმავების ახალი საშუალებანი.

ეს ყველაფერი მსახიობის და მთელი ანსამბლის უზენაეს ოსტატობას და მშობლიური სიტყვის განსაკუთრებულ მოვლას მოითხოვს. ქართული სიტყვა გამობრძმედილია საუკუნეებთან ჰიდილში, მას ურთულესი განცდების გადმოცემის ყოველგვარი საშუალება აქვს და ის კოსმიურ ერაშიაც იპოვის გზას ადამიანის გულისაკენ. თუ გულს და სიტყვას ერთმანეთთან დავაკავშირებთ.

მსახიობის დაოსტატებაზე შეუნელებელი ზრუნვა, სიტყვის და თეატრის მჭიდრო კაშირი. ქართული მეტყველების უზადო ფლობა, კარგის წახალისება და გზაფარო ნიჭის, სუსტის ღრუულად მხილება და პირუთვნები განსხა. — აი ასპარეზი საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობისა; და თუ შეგვრჩა მეტყველება წაუბილწავი და თუ მეტყველი თავის იარაღს ოსტატურად გამოიყენებს. ქართულ თეატრს არაფერი გაუჭირდება. ჩვენი მიზანი ეს იყო და მომავალშიც ეს უნდა დარჩეს.

მიხეილ მრავლიშვილი

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

დიდი სახალხო ტრიბუნა

1850 წელს საფუძველი ჩაეყარა პროფესიულ თეატრს. ამ საშვილიშვილო საქმის ინიციატორი გ. ერისთავი იყო. 2 (14) იანვარს წარმოადგინეს „გაყრა“. ეს დიდი ეროვნული თეატრალური დღეა, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით აღინიშნება ყოველწლიურად. ასთეუთმეტი წელი გვაშორებს ამ დღეს, მაგრამ ისტორიაშ წმინდად შეინახა იმ ადამიანთა ნაღვაში და ნამაგარი, ვინც ასე შთაგონებით ქმნიდა პირველ ქართულ პროფესიულ სპექტაკლებს, ვინც უანგარიდ ემსახურებოდა იმუამინდელ თეატრალურ კულტურას. ისინი იყვნენ ნამდვილი პატრიოტები და მხოლოდ მათ თავდადებას უნდა ვუმადლოდეთ პროფესიული თეატრის შექმნას.

სხვაგვარი მიზანი ჰქონდა ქართულ თეატრს. და ჩვენც სწორედ იმიტომ ვზეიმობთ ქართული თეატრის დღეს, რომ იგი ვაჟა-ცურავლი გზნებით ემსახურება თავის ხალხს:

გ. ერისთავის მიერ დაფუძნებულ თეატრს შემდეგ სათავეში ჩაუდგნენ ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი. მძიმე იყო იმუამინდელი თეატრის მდგომარეობა, მაგრამ დიდი მოვალეობის შეგნება მათ მატებდა ძალასა და ენერგიას. ილია ჭავჭავაძე ამ ოთხმოცდახუთი წლის წინა წერდა: „ძლივს ერთი ადგილი მაინც ვეჯენება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ. ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალშინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგარითა“.

მე-19 საუკუნის თეატრი დიდი ზნეობრივი სიწმინდის. მაღალი მოქალაქეობრივი პათოსის თეატრი იყო. მან პირნათლად შეასრულა „კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელის“ როლი. თეატრის მესვეურებმა სწორად განსაზღვრეს თეატრის დანიშნულება და პრაქტიკულადაც გაამართლეს იგი.

ეს არის მაღალი მოქალაქეობრივი, დიდი რეალისტური თეატრის ტრადიცია. რომელიც ძვირფას მექანიზმებით მიიღო ახალმა ქართულმა საბჭოთა თეატრმა.

კ. მარჯანიშვილმა და ს. ახმეტელმა თავიანთ მოწაფეებთან ერთად საფუძველი ჩაუყარეს.

ქართულ საბჭოთა თეატრს და მანამდე არნა-ხულ სიმაღლეზე აიყვანეს იგი. ქართული საბჭოთა თეატრის სახელი გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს და იგი შეფასდა როგორც საბჭოთა კულტურის დიდი მონაპოვარი.

სწორედ ახალი ქართული საბჭოთა თეატრის ხელოვნებამ შთაგონა ძველი თეატრის დიდი მოღვაწე ვ. გუნია, როცა თქვა: „ახლა რომ მოვკვდე, არას ვინაღვლი. რადგან ჩემი თვალით ვნახე ის, რაზედაც ვოცნებობდი. რასაც სიზმრად ვლიმობდი... ბედნიერი ხართ, ჩვენშე უფრო ბედნიერი. რომ თქვენ წილად გხვდათ საქართველოს სულის უკვდავების მტკიცება და ლალადისი“.

ჩვენ უკვე გვაქვს ქართული საბჭოთა თეატრის მდიდარი ტრადიციები. გვაქვს მანამდე უჩვეულო პრობლემებისა და თემების, დიდი მხატვრული ძალის სპექტაკლები. გვყავს ქართული საბჭოთა თეატრის კლასიკოსები. რეალისურიდან გნებავთ თუ აქტიორული ხელოვნებიდან.

ყოველი თაობის მონაპოვარი ძვირფასია და მხოლოდ მის საფუძველზე იზრდება და მდიდრდება მომავალი ხელოვნება. ამ შინაგან უწყვეტ კავშირშია მისი ძალაცა და უკვდავებაც, მონაპოვრის დაცვა და ახლის ძიება. ეს არის ჭეშმარიტად დიდი. რეალისტური ხელოვნების გზა და ამას გვიდასტურებს თეატრალური კულტურის მთელი ისტორიაც.

თანამედროვე ქართული თეატრი მოვალეა დიდი სიფაქიზით, დაკვირვებით სწავლობდეს იმას, რაც საუკეთესოა წარსულში. თავის შემოქმედებით არსენალს ამდიდრებდეს თანამედროვე თეატრალური მიღწევებით, შემოქმედებითად იყენებდეს სხვა მოძმე ხალხების მიღწევებს. აგრეთვე თანამედროვე დასავლეთ ევროპის პროგრესული თეატრალური კულტურის წარმატებებს. მაგრამ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს. რომ ქართული ეროვნული თეატრი. — როგორც ამას მართებულად წერდა ს. ახმეტელი — უპირველესად უნდა ეყრდნობოდეს „თავის შინაგან წყაროებს და ამ წყაროებს მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ საერთოც“...

ქართული თეატრის დღე ასე ზეიმურალ
რომ ალინიშვილია, არა მარტო აჯამებს გან-
ვლილ მუშაობას, არამედ ახალ პერსპექტი-
ვებზეც ამახვილებს ყურადღებას. 14 იანვარს
უკვე დამთავრებულია თეატრალური სეზონის
პირველი ნახევარი. უნდა პირდაპირ ვთქვათ.
რომ ცალკეულ წარმატებათა მიუხედავად, ამ-
ჟამად თეატრებში არა გვაქვს დამამშვიდებე-
ლი მდგომარეობა. სეზონის პირველ ნახევარ-
ში არ შექმნილა ისეთი მასშტაბის. ჭეშმარი-
ტად ამაღელვებელი სპექტაკლი. რომ იგი ჩვე-
ნი საზოგადოებრიობის ფართო ინტერესისა

და საყოველთაო აღიარების საგანი გამხდა-
რიყო.

თეატრის მესვეურებმა კრიტიკულად უნდა
გააანალიზონ წარმატებისა თუ წარუმატებ-
ლობის მიზეზები და სწორი დასკვნები გამო-
რტანონ.

ქართული თეატრის დღე დიდი სიხალისის
დღეა. თეატრი ხალხის სულის გამახალისებე-
ლი, მისი გამაკეთილშობილებელი ტრიბუნაა
და ამ მაღალ იდეალებს უნდა ემსახუროს
იგი.

ვასილ პიპაძე

თეატრის ჩლენდენი

30 იაზოვილი

სსრ კულტურის სახალხო არტისტი

— სცენის ოსტატებისადმი მიძღვნილ ამ დღეს ერთხელ კიდევ მინდა მოგაგონოთ საბჭოთა მსახიობის დიადი მისია. რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გადასცეს ხალხის ფართო ფენებს ხელოვნების სიხარული. მიუძღვნას ხალხს მთელი თავისი შემოქმედებით უნარი, თავისი გულისა და გონების მთელი ძალისა.

1966 წელი ჩვენთვის, მსახიობთათვის, განსაკუთრებით დაძაბული და პასუხსაგები უნდა იყოს: ამდენი დღიდი სასიხარულო ამბავი მოხდა საქართველოში! რესპუბლიკა დაჭილდოვებულია ლენინის მეორე ორდენით!

— ეს წელი, როდესაც ჩვენ აღვნიშნავთ დიდი რუსთაველის 800 წლისთავს. იქნება ქართული ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის დღესასწაულის წელი. და განა ჩვენ. მსახიობებს. შეგვიძლია აზ შევხვდეთ ამ ჭეშმარიტად უზარმაზარ მოვლენას ჩვენი შემოქმედების ფარხმალით აღჭურვილნი? განა გვაჰატიებენ ჩვენი თანამედროვენი, რომ კულტი მივჩანჩალებდეთ ამ ზეიძე?

და ყველა ჩვენთაგანმა იგრძნოს ეს მთელი პასუხისმგებლობით.

6. თაყაიშვილი

სსრ კულტურის სახალხო არტისტი

თეატრი მოწოდებულია ასახოს თანამედროვეობა — დღეს ეს თითქოს უბრალო ჭეშმარიტებად იქცა. მაგრამ მე მსურს კვლავ დაუკუბრუნდე ამ „არაორიგინალურ“ საკითხს.

— თანამედროვე მსახიობი უნდა იყოს თვისი დროის ადამიანი, ნამდვილი მოქალაქე. რომ მის მიერ შექმნილ სახეებს შეეძლოთ ალელვება თავიანთი სიმართლით, რომ მათ ჭერნდეთ განვითარების ნათელი პერსპექტივა. მხოლოდ იმ მხატვარს, რომელიც დგას ცხოვ-

რების მოთხოვნათა სიმაღლეზე. შეუძლია შექმნას თანამედროვე დადებითი გმირი, შეასრულოს ის მთავარი მოთხოვნა. რომელსაც უყენებენ ხელოვნებას პარტია და ხალხი. მე მინდა ვუსურვო ჩვენს დრამატურგებს დაწერონ რაც შეიძლება მეტი საინტერესო ნიჭიერი პიესა თანამედროვეობის შესახებ, ხოლო ჩვენს რეჟისორებს და მსახიობებს ვუსურვებ განასახიერონ სცენაზე თანამედროვეთა სახეები მთელი მათი სულიერი სილამაზით.

პ. ხორავა

სსრ კავშირის სახალხო არტისტი

— თეატრი და ცხოვრება განუყოფელია. თეატრის, როგორც ხელოვნების, მთავარი ძალა, — მისი სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ მაყურებელი ხედავს სცენაზე ადამიანს, რომელიც იმ მომენტში იტანჯება ან ხარობს. გმირობისათვის ემზადება ან და გამარჯვებას მოელის. აი ეს უშუალო დაკვირვება სხვა ადამიანის ცხოვრებაზე და მასთან ერთად განცდა — ყველაზე ძვირფასი მოვლენაა იმისა. რითაც ასაჩუქრებს თეატრი ადამიანებს.

— ქართული სცენის საუკეთესო ოსტატები იყვნენ ადამიანის სულის ზედმიწევნით მცოდნენი. მათი თამაში ყოველთვის ცხოვრებისეულ სიმართლეს გამოხატავდა. დღეს მე მინდა ვუსურვო ჩვენს მსახიობთა ახალგაზრდა თაობას ღირსეულად ატაროს უფროსი ამხანაგების ესტაფეტა — მოახმაროს მთელი თავისი ძალობრნე. მთელი ნიჭი საყვარელი ხელოვნების სამსახურს.

3. გოდიაშვილი

სსრ კავშირის სახალხო არტისტი

ჩვენი თანამედროვე თეატრი — ანალიტიკური თეატრია. იგი კვლევითი. მოაზროვნე ხელოვნებაა. და ეს შედეგია არა მარტო დღევანდელი დღის. არამედ უპირველეს ყოვლისა ჩვენი ეროვნული დრამატურგიის განვითარებისა. გ. ერისთავისა და ი. ჭავჭავაძის, ა. ჭერეთლისა და ვაჟა-ფშაველას დრამატურგიისა.

კლასიკური დრამატურგიისათვის დამახასიათებელი იყო გმირისა და საზოგადოების კონფლიქტი, გმირისა და მის წინააღმდეგ ამხედრებულ საზოგადოებრივ ძალთა შეჯახება. ჩვენ არა გვყავს ანტაგონისტური კლასები. მაგრამ ადამიანები საოცრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ხასიათებით. ფიქრებით, ზრახვებით, ისინი მშვენიერებისაკენ მიმავალი გზის სხვადასხვა ეტაპზე დგანან. ამიტომ გამოკვლევის მთავარ საგნად ხდება პიროვნება და ინტერესი პიროვნებისადმი. მხატვრის შემოქმედებას ჩვენ ვაფასებთ იმისდა მიხედვით, თუ რაოდენ სიმართლით განა-

სახიერა მან ჩვენი თანამედროვის თვისებები.

აღვზარდოთ გემოვნება, განვავითაროთ ხელოვნების ესთეტური აღქმა. ვასტავლოთ სახეებით აზროვნება. მივაღწიოთ შინაგანი კულტურის გარკვეულ დონეს — აი ჩვენი უპირველესი მოვალეობა და ამოცანა. და უნდა მიუძღვნა შენი გული — ყველაზე უცვი საჩუქრა, რათა ღირსეულად შეასრულო ეს მოვალეობა. ჩვენი მსახიობება მუდამ სიხარულით უძლვნილენი ადამიანებს თავიანთ გულს.

ნ. ჩხეიძის, მ. საფაროვა-აბაშიძის, ვლ. ალექსი-მესხიშვილის, ვ. გუნიას. ვ. აბაშიძის. კ. მარგარინშვილის. უ. ჩხეიძის. ს. აბმეტელის. და ქართული თეატრის სხვა მრავალ და მრავალ კორიფეთა გულების ცეცხლი არასოდეს არ ჩაქრება. ხელოვნების წმიდათა-წმიდა ჩირალდანი გაღიერა მსახიობების. რეჟისორების, დრამატურგების ახალ თაობას. და ასი წლის წინათ ანთებული ეს ჩირალდანი არასოდეს არ ჩაქრება.

ნ. ბურმისტროვა

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

რუსული და ქართული სცენა მუდამ ავსებდნენ და ამდიღრებდნენ ერთმანეთს. ამ ორი კულტურის დახლოებაში მნიშვნელოვან როლს ჩვენს რესპუბლიკაში თამაშაბს ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრი.

მე შინდა მიყულოცო ჩემს კოლეგებს და

მეგობრებს — ქართული სცენის ოსტატებს — შესანიშნავი ტრადიციული დღესასწაული — თეატრის დღე, და ვუსურვო მათ წინსვლა უზარმაზარი ნაბიჯებით სასიხარულო მიღწევათა გზაზე.

ღ. ამირბეგიანი

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი,
სომხეთის სსრ სახალხო არტისტი

— ქართული თეატრის დღე მთელი ჩვენი მუშაობის დათვალიერებაა. ჩემთვის. ისევე როგორც სომხური თეატრის ყოველი წარმომადგენლისათვის თბილისში. მახლობელი და ძვირფასია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი კულტურა. დღეს ყველა ჩვენთაგანი განიცდის დიდ სიხარულს. რომელიც მოდის ხოლმე იმის შეგნების შედეგად.

რომ მსახიობის შესანიშნავი პროფესია აუცილებელია.

— თეატრის ამ დღეს მე გამოვთქვამ სურვილს, რომ უფრო მეტად განმტკიცდეს სომხური და ქართული ხელოვნების მეგობრობა ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური კულტურის საკეთილდღეოდ. ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვიყვნეთ საბჭოთა თეატრის ახალი მიღწევებისათვის ბრძოლაში.

მარჯანიშვილის გვერდით

ჩვენი პრესა რატომლაც ცოტას სწერს მხატვრის მუშაობაზე თეატრში, მის მუშაობაზე რეჟისორთან. თვითეულმა მხატვარმა, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება ემუშავნა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანიშვილთან, რომ დაწეროს თვისი მოგონებანი, გამოვიდოდა მეტად ძვირფასი და საინტერესო მასალა, განსაკუთრებით ახალგზრდებისათვის.

არასოდეს არ დამავიწყდება. როგორ მიმიწვია კონსტანტინე ალექსანდრეს ძემ პირველად სპექტაკლის — „ლიანდაგი გუგუნებს“— გასაფორმებლად. ჯერ მაჩვენა სცენა. კულისები: სანათურები, სინათლის წყაროები. საერთოდ — მთელი ტექნიკა, რომლითაც შეიძლებოდა სარგებლობა. და შემდეგ მომცა პიესა.

— ყურადღებით წაიკითხე. მე მჭირდება შენი აზრები, ხოლო მხატვრისათვის აზროვნება ნიშნავს ხატვას. ერთი კვირის შემდეგ ესკიზებს მოიტან. გადაჭრით საჭიროა მხოლოდ ქარხნის დიდი კარები. სხვა დანარჩენი შენ თვითონ გადაწყვიტე.

ქუთაისში. მარჯანიშვილის თეატრში. მუდმივად ემუშაობდით ორი მხატვარი — პეტრა ოცხელი და მე. მაგრამ ყოველი პიესისათვის კონსტანტინე ალექსანდრეს ძე შეარჩევდა ხოლმე ლიტერატურული ქსოვილისათვის და მისი რეჟისორული ჩანაფიქრისათვის ყველაზე უფრო მახლობელ მხატვარს. ასე, მაგალითად, პიესაზე „პოპლა. ჩვენ ვცოცხლობთ“ მოწყეულ იქნა დავით კაკაბაძე, „არსენა“ გააფორმა ლ. გუდაშვილი. „უანა დარკი“ — ი. შარლემანმა, „მაკეტი“ — ვ. ლანსერემ, „შამილი“ და „უკრაინის ველებზე“ — თ. აბაკელიამ, „პოემა ცულის შესახებ“ — ს. ქობულაძემ. გააცნობდა რა მხატვარს თავის ინტერპრეტაციას. იგი აძლევდა მას თავისუფლებას საკუთარი შემოქმედებითი მეობის გამოსავლინებლად. თუ მხატვარს შეჰქონდა გაფორმებაში საინტერესო წინადადება. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მყისვე მიიღებდა ხოლმე ამ წინადადებას. „ეს შენი გადაწყვეტილება უკეთესია. ვიდრე ჩემი. ყოჩაღ“ — ეუბნებოდა იგი მხატვარს.

მეტად საინტერესო იყო საუბრები კონსტანტინე ალექსანდრეს ძესთან. — მან შესანიშნავად იცოდა ხელოვნების ისტორია და მისი „ექსეურსიები“ მსოფლიოს მუზეუმების დარბაზებში მეტად წარმტაცი მოსამენი იყო. იგი შესანიშნავად ერკვეოდა თანამედროვე არქიტექტურასა და მუსიკაში. და წარმოიდგინეთ — რამდენი რამ უნდა მიეღო მისგან მხატვარს!

მარჯანიშვილს ცარიელ დარბაზში როდი უყვარდა რეპეტიციების ჩატარება. ხშირად აქ ესწრებოდნენ არა მარტო თეატრის თავისუფალი მუშაკები, არამედ უბრალოდ მომსვლელნიც. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ამოწმებდა მათზე მაყურებელთა დარბაზის მომავალ რეაქციას.

— თუ მიზანსცენა ან სინათლე არ მოგეწონათ — მითხარით. — ეუბნებოდა იგი ახალგაზრდა მხატვარს, რომელიც გულისფანცქალით ადევნებდა თვალს მის მუშაობას. მაგრამ ხდებოდა ხოლმე. რომ ჩემ მოვაკებდით გამშეღალას და შევთავაზებდით კომპოზიციის შეცვლას. და თუ ეს დამაჯერებელი იყო, გვეთანხმებოდა. ასე მოხდა ერთხელ. როცა იდგმებოდა პიესა „როგორ“; ჩემი წინადადებით მან შეცვალა მიზანსცენები. მისი რეპეტიციების ყურება საერთოდ დამატებობელი იყო, ხოლო სასინათლო რეპეტიციებს აღარც კი ვიცი რა უწყოდო. ჩვეულებრივ მარჯანიშვილი ამ რეპეტიციებს ატარებდა მხატვართან ერთად პრემიერამდე დიდი ხნით აღრე. ამჟამად ეს გამოცდილება რატომლაც დავიწყებულია. ყოველ შესაძლებლობას. ტექნიკურსაც კი, მარჯანიშვილი შემოქმედებითს ჩანაფიქრს უკვემდებარებდა. იგი იყენებდა საოცრად ფანტასტიკურ ლამფებს, რომლებსაც ამჟამად სამწუხაროდ, ვერ შევდებით თეატრში, თუმც ტექნიკა კი წინააწასული. მარჯანიშვილის სპექტაკლში სინათლე მუშაობდა დეკორაციების თანაბრად, და ყოველი სპექტაკლი იყო ფერია.

როგორლაც ერთ-ერთი რეპეტიციის დროს კონსტანტინე ალექსანდრეს ძემ მოიმიზება საქმე. წასასულელად განემზადა და სინათლეების დაყენება თვით მე დამვალა. დარბაზში

მსხდომთ აშკარად გული დასწყდათ, მე კი სა-
სოწარკვეთილებაში ჩავვარდი. მე ჯერ საერ-
თო სინათლე დავაყენე, შემდეგ დეტალებზე
გადაცელ და გავერთე. უცებ იარუსიდან მო-
მეშამა ხმა:

— მარჯვნივ სწორი არ არის, არ შეესაბა-
მება სინათლის ძირითად წყაროს. განაგრძე.
ახლა კი მე ნამდვილად მივდივარ. საღამოზე
შევამოშებ.

მარჯანიშვილმა არაჩვეულებრივად იცოდა
შეხამება ინიციატივის სრული თვასუფლები-
სა, რომელიც ასე სჭირდებათ ახალგაზრდებს,
მკაცრ კონტროლთან, რომელიც ესოდენ სა-
სარგებლოა დამწყებთათვის.

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მუდამ და-
უინებით მოითხოვდა, რომ მხატვარს თვითონ-
ვე შეესრულებინა თავისი დეკორაციები და
ამით შეენარჩუნებინა ავტორის ხელშერა. იგი
იმასაც კი გვიხსნიდა, თუ როგორ დაგვენაწი-
ლებინა ესკიზი უჯრებად და გადაგვეტანა იგი
უკანა ფარდის უზარმაზარ ტილოზე. ჩვენ პა-
ტიოსნად ვასრულებდით პირველ ნაშილს,
მაგრამ გადატანაზე ისე დავიტანჯენით. რომ
გადავწყვიტეთ მოგვეშორებინა უჯრები და
ავირჩეთ ხატვის სხვა ხერხი: პეტრე ოცხელი
ავიდა ზემო ბაქანზე და იქიდან უცქერდა, თუ
როგორ ვხატავდი. იგი ზევიდან მიყვიროდა:

— გააგრძელე ეგ კოშკებიანი ხაზი, ზოლ
თვით კოშკები ცოტა შეამცირე!.. ეგრე... გა-

ნაგრძე! სწორია! ასწიე ცხაური, დაუშვი ხე,—
და ა. შ.

ასე დავხატეთ ჩვენი პირველი უკანა ფარდა
პიესისათვის „უანა დარკი“. კონსტანტინე,
ალექსანდრეს ძემ გვითხრა:

— იი რა კარგია უჯრებით სარგებლობა!

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ გამოვუტყ-
ლით. რომ მოვატყუეთ იგი. მაგრამ მას შემ-
დეგ მე მუდამ თვითონ ვასრულებდი ჩემს
დეკორაციებს, ხოლო ზოგჯერ სხვებისასაც
ვხატავდი.

კ. მარჯანიშვილთან მე გავაფორმე პიესები:
ა. კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს“, კ. კალა-
ძის „როგორ“, დ. შენგელაიას „თეთრები“,
პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ზ. ან-
ტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“,
კ. კალაძის „სახლი მტკვრის პირას“, შექსპი-
რის „ოტელო“, ოფენბახის „ლამურა“ მოსკო-
ვის ოპერეტის თეატრში, ი. ოლეშის „სამი
ბლენძი“ და სხვ.

სწორედ თეატრის დღეს მე განსაკუთრებით
მსურს ვილაპარაკო მარჯანიშვილზე — იმ
ადამიანზე. რომელიც თითქოს თვით თავის
არსებაში ატარებდა თეატრს, დაბადებული
იყო მისთვის. დაბადებული იყო შეექმნა სცე-
ნის ხელოვნება, შეექმნა თეატრი, რომელიც
მას უყვარდა, თეატრი მაღალი საზოგადოებ-
რივი აზრისა, თეატრი — ზეიძი!

ელენ ახვლედიანი,
საქართველოს სახალხო მხატვარი

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მოღვაწეობა 1966 წლის პირველ პერიოდი

მიმღინარე წლის 5—8 თებერვალს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ჭიათურაში მოაწყო პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა. აკ. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა მაყურებელთა კონფერენცია. სამისოდ წინასწარ დათვალიერებულ იქნა თეატრის სამი სპექტაკლი: ვ. კანდელაკის „ნაკრძალში“. ქ. ქარჩხაძის „დევიძების ოქაზი“ და გ. ხუსტვილის „ცხოვრება კაცისა“.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარებრივი რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. რის შემდეგაც მოხსენება სამი სპექტაკლის შესახებ წაიკითხა რეჟისორმა მიხ. გიუმრულმა.

კონფერენციაზე სიტყვებით ვამოვიდნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები: დრამატურგი მიხ. მრევლიშვილი, რეჟისორი გ. ლორთქითანიძე და დ. ჩეიძე; მწერალი ს. მთვარაძე. თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძე. ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლის პედაგოგი ნატო მუმლაძე და სხვა. როგორც მომსენებელმა, ისე სიტყვებით გამოსულმა ორატორებმა მისცეს სპექტაკლ „კიკვიძეს“ (დადგმა ახალგაზრდა რეჟისორ თემურ ჩეიძისა) კონფერენციაზე გამოითქვა აზრი ამ სპექტაკლის თბილისში ჩვენების შესახებ.

მოწყობით საქართველოსა და სომხეთის სსრ რესპუბლიკების სახალხო არტისტის დორი ამირბეკიანის დაბადებიდან 60 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიქლვნილი საიუბილეო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ამს. დ. ანთაძემ. რის შემდეგაც დ. ამირბეკიანის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა მწერალმა მ. ასლანიანმა. იუბილარს მიესალმენებ: მწერალი ს. ავჩიანი. შ. კილოსანიძე. დ. ჩეიძე, შ. მექელია. გ. საღარაძე. დ. ჭიჭინაძე, ც. ჩხერელი. მ. პიასეცი. თ. პაპიტაშვილი, მ. კაზარიანი (სომხეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე). და სხვა.

შემოქმედებითი საღამოების ციკლიდან ჭიათურაში მოწყობით რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ასია დათებაშვილის შემოქმედებითი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდუმის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

მაყურებელთა მეორე კონფერენცია მიეღლვნა შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლების განხილვას. კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ამს. დ. ანთაძემ. ზუგდიდის თეატრის სამი სპექტაკლის—ვ. დარძელის „კიკვიძე“, ლ. მილორავის „მრუდე კიბე“ და ჭ. მონიავას „კორპუსი 5. ოთახი 55“ შესახებ მოხსენება გააკეთა თეატრმცოდნე ვ. კიკნაძემ. აღნიშნული სპექტაკლების განხილვაში მონაწილეობა მიიღებ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა: დ. ჩეიძემ, მხატვარმა დ. თავაძემ. რეჟისორმა შ. მესხმა, დრამატურგმა ლ. მილორავამ. ნ. კევლიშვილმა, პედაგოგმა ერნა თოდუაძე და უურნალისტმა ანზორ ბარამიამ (ზუგდიდი).

როგორც მომსენებელმა, ისე სიტყვებით გამოსულმა ორატორებმა მაღალი შეფასება მისცეს სპექტაკლ „კიკვიძეს“ (დადგმა ახალგაზრდა რეჟისორ თემურ ჩეიძისა) კონფერენციაზე გამოითქვა აზრი ამ სპექტაკლის თბილისში ჩვენების შესახებ.

მოწყობით საქართველოსა და სომხეთის სსრ რესპუბლიკების სახალხო არტისტის დორი ამირბეკიანის დაბადებიდან 60 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიქლვნილი საიუბილეო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ამს. დ. ანთაძემ. რის შემდეგაც დ. ამირბეკიანის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა მწერალმა მ. ასლანიანმა. იუბილარს მიესალმენებ: მწერალი ს. ავჩიანი. შ. კილოსანიძე. დ. ჩეიძე, შ. მექელია. გ. საღარაძე. დ. ჭიჭინაძე, ც. ჩხერელი. მ. პიასეცი. თ. პაპიტაშვილი, მ. კაზარიანი (სომხეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე). და სხვა.

შემოქმედებითი საღამოების ციკლიდან ჭიათურაში მოწყობით რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ასია დათებაშვილის შემოქმედებითი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდუმის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

მოხსენებით თემაზე: „ასია დათებაშვილის შემოქმედება“ გამოვიდა თეატრმცოდნე მარგარიტა გოგოლაშვილი. მსახიობს გულთბილად მიესალმნენ ხელოენების დამსახურებული მოღვაწეები დ. ჩხეიძე (თეატრალური საზოგადოება), ს. ცომაია (ჭიათურის თეატრი), რ. ნეფარიძე, ა. ქირია (ზუგდიდი), პ. კახიძე (ზემტაფონი), ზ. ჯორგაძე (ტყიბული), ე. ჯიშკარიანი და ი. ცინცაძე.

შემოქმედებითი საღამო მოეწყო აგრეთვე რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის თინათინ ბურბუთაშვილისა თელავში. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქ. კპ თელავის რაიკომის მდივანშა ამხ. ნ. იანვარაშვილმა, მოხსენება თ. ბურბუთაშვილის შემოქმედების შესახებ წაიკითხა თეატრმცოდნე ნუნუ მესხმა. იუბილარს მიესალმნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე (თეატრალური საზოგადოება), რესპ. სახალხო არტისტი მიხ. ყვარელაშვილი. რესპ. დამსახურებული არტისტი ტ. საყვარელიძე (მარგანიშვილის თეატრი). ხელ. დამსახ. მოღვაწე გ. აბრამაშვილი (გორის თეატრი), რესპ. დამსარტისტი ალ. როგავა (ზუგდიდი) და სხვა.

ხსოვნისადმი აღსანიშნავი საღამო მიეძღვნა რესპუბლიკის სახალხო არტისტს შალვა ღამბაშიძეს. რომელიც საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და მარგანიშვილის თეატრმა მოაწყეს. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მარგანიშვილის სახ. თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ხელოვ. დამს. მოღვაწემ გ. ლორთქიფანიძემ, მოგონებებით გამოვიდნენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტები ვ. ანგაფარიძე, ს. თაყაიშვილი და ვასო გოძიაშვილი; რესპ. სახალხო არტისტები დ. ანააქე, ა. კვანტალიანი. გ. კოსტავა, მ. ჯაფარიძე, მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს: რესპ. სახალხო არტისტები დ. ბალრიძემ; რესპ. დამსახურებულმა არტისტებმა ელ. ყიფშიძემ, მ. მახვილაძემ. თენგაზ ამირეჯიბა, საქართველოს კამერულმა ოკესტრმა დირიჟორ გ. აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით და საქართველოს სახელმწიფო კაპელამ.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, ქუთაისის საქალაქო კულტურის განყოფილებამ და ფილარმონიის ქუთაისის განყოფილებამ ხსოვნის საღამო მოუწყვეს აგრეთვე ქართული კულტურის მოამაგეს დავით სარგელაძეს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ქუთაისის საქალაქო საბჭოს კულტურის განყოფილების გამგემ ამხ. ა. ბარათაშვილმა. დ. სარგელაძის მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა ვ. ქუთათელაძემ. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ დ. ჩხეიძე (თეატრალური საზოგადოება). რესპ. სახ. არტისტი შ. პირველი, ი. ქუთათელაძე (მუსკომედიის თეატრი) და დრამატურგი ვ. გოგოლაშვილი (საქ. ფილარმონია).

გარდა ამისა მოეწყო შეხვედრა სსრ კავშირის სახალხო არტისტ სესილია თაყაიშვილთან. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა დ. ანთაძემ. მოხსენება ს. თაყაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხა თეატრმცოდნე ნ. ურუშაძემ. სიტყვებითა და მისალმებებით გამოვიდნენ: ხელ. დამს. მოღვაწე გ. ლორთქიფანიძემ. რესპ. დამს. არტისტები: თ. ბაქრაძე. ვ. გეგეჭორი. ო. კობერიძე, ალ. გომიაშვილი, მ. თაბუკაშვილი, კ. გოგოძე, ვ. გოგოლაშვილი, შ. მაჭავარიანი და ა. ტრაპაიძე.

საქ. თეატრალურმა საზოგადოებაშ საქ. ხელოვნების მუშაკთა სახლთან ერთად მოაწყო საქართველოს სახალხო მხატვრის ელ. ახვლედიანის ნამუშევრების გამოფენა თემაზე: „თბილისი“.

საღამო გახსნა დ. ანთაძემ. სიტყვებითა და მისალმებებით გამოვიდნენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტები — ვ. ანგაფარიძე, მ. ჭიათურელი და ს. დოლიძე. პროფ. ვ. ბერიძე და ირ. ციციშვილი. მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს — სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ვ. ანგაფარიძემ და ვ. გომიაშვილმა; რესპ. დამს. არტისტებმა გ. გეგეჭორაძემ და მ. შალდელმა, აგრეთვე მსახიობებმა ირ. უჩანეიშვილშა და დამდა ჯანელიძეებმა. აღნიშნული გამოფენა განხილულ იქნა ა/შ 1 მარტს. სხდომა გახსნა საქ. მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ზ. ლეევამ. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: დოცენტმა ლეო რჩეულიშვილმა. ავადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ. სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ანგაფარიძემ, რესპ. სახ. არტისტმა დ. ანთაძემ. მწერალმა კ. კალაძემ და არ. სულაკაურმა; მხატვარმა კ. ჭანკვეტაძემ, რ. თაბუკაშვილმა. რ. ჯავრიშვილმა.

გარდა ამისა 15 თებერვალს ლენინგრადში მოეწყო ქართველ თეატრისა და კინოს მხატვართა ლენინგრადის ხელოვნების სასახლეში

გამოფენილი ნამუშევრების განხილვა. სხდო-
მა გახსნა სრულიად რუსეთის თეატრალური
საზოგადოების ლენინგრადის განყოფილების
პასუხისმგებელმა მდივანმა ვ. ტოლსტაიმ.
გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების
შესახებ მოხსენებით გამოვიდა ხელოვნებათ-
მცოდნე გ. ლევიტი. განხილვაში მონაწილე-
ობა მიიღეს — რუსეთის თეატრალური საზო-
გადოების ლენინგრადის განყოფილების სამ-
ხატვრო სადადგმო სექციის თავმჯდომარემ
ვ. ივანოვმა, ლენინგრადის მხატვართა კავში-
რის სამხატვრო სადადგმო სექციის თავმჯდო-
მარის მოადგილე ნ. პავლოვმ, კიროვის სახ.
ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარმა მხა-
ტვარმა ი. სევასტიანოვმა. მხატვრებმა მ. აზი.

ზიანმა, მ. მალობროციმ; ლენინგრადის ხე-
ლოვნების მუშაკთა სახლის დირექტორმა
თ. შუბნიკოვამ, მისმა მოადგილემ გ. პუშჩინ-
სკიმ და სხვა.

ქართველი მხატვრების ნამუშევრებმა ლე-
ნინგრადის ხელოვნების მუშაკებისა და ფარ-
თო საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსა-
ხურა.

მოეწყო აგრეთვე სპექტაკლების განხილვა-
მილება გოლდონის „საპატარძლო აფიშით“
(ფოთში) და მ. მეტერლინკის „მონა ვანა“
(მახარაძეში; მომხსენებელი ელ. კვირკველია)
და რანეტის „ბრაკონერები“ (ქუთაისის თე-
ატრში; მომხ. ვ. კიკნაძე) და სხვა.

Краткая аннотация

Д. К. Антадзе—Народный артист
Грузинской ССР, Председатель
Театрального общества Грузии.

ДЕНЬ ГРУЗИНСКОГО ТЕАТРА

14 января (2 января по старому стилю) — день грузинского театра. В этот день 1850 года возобновил свое существование грузинский профессиональный театр, во главе которого стоял выдающийся общественный деятель, писатель и драматург, режиссер и актер Георгий Эристави.

Правда, этот обновленный театр просуществовал всего пять-шесть лет, но в 1879 году по инициативе И. Чавчавадзе и А. Церетели грузинский театр восстановлен вновь и с тех пор не прекращал своего существования и развития.

Правда, грузинский профессиональный театр испытывал большие трудности в дореволюционный период, но после победы Советской власти в Грузии дело развития грузинского театра было поставлено

на прочную основу. Особенно бурного расцвета достигло грузинское советское театральное искусство под руководством выдающихся режиссеров К. Марджанишвили и А. Ахметели. С тех пор выросли талантливые кадры грузинских актеров, режиссеров, драматургов и театральных художников, которые каждый раз 14 января, в традиционный день грузинского театра, отмечают эту дату в торжественной обстановке и подводят итоги своей творческой работы.

В этом году (в 1966 году) день грузинского театра совпал с восемидесятилетием основания Первого Грузинского драматического общества и с двадцатилетием основания Театрального общества Грузии.

Серго Герсамия Грузинское драматическое общество

В 1856 году, в результате вероломной политики царизма, грузинский профессиональный театр, основанный Г. Эристави, был закрыт, но идея его восстановления не умирала в передовом грузинском обществе и в 1879 году этот вопрос был поставлен в порядок дня. Было решено провести экспериментальный сезон и был создан Театральный комитет для поддержания этого дела.

Сезон 1878 — 1879 г.г. был экспериментальным. Опыт удался и было решено соз-

дать труппу профессиональных актеров; Театральный комитет был пополнен новыми членами и председателем комитета был избран И. Чавчавадзе.

После этого профессиональный грузинский театр не прекращал своего существования. Театральный комитет не имел ни средств, ни прав сделать все необходимое для театра. Поэтому была создана более широкая и компетентная организация — «Грузинское драматическое общество».

Нино Швангирадзе—театровед Традиционный праздник

Грузинское искусство новой эпохи, кроме стремления к лучшему и прекрасному, заставляет человека думать и о том, — чем было пронизано это искусство в прошлом, а именно — об общественном интересе, о сознании гражданского долга, о патриотизме и большом чувстве современности. Поэтому каждый из нас 14 января благоговейно склоняет голову перед светлой памятью выдающегося деятеля, основоположника грузинского профессионального театра Георгия Эристави.

Далее автор рассказывает, как 116 лет

тому назад под руководством Г. Эристави стали давать спектакли на обновленной грузинской сцене.

Впервые день восстановления грузинского театра был отпразднован в 1884 году.

Грузинское драматическое общество было создано 17 января 1881 года и оно существовало до 1921 года.

Затем автор рассказывает о том, как было создано Театральное общество Грузии в 1945 году и кто были председателями этого общества.

Шалва Апхайдзе Поэт и Театральный критик

СЛАВНОЕ ДВАДЦАТИЛЕТИЕ

Со дня своего основания на наш театр была возложена обязанность пропагандировать прогрессивные и национально-освободительные идеи. Наши выдающиеся общественные деятели — И. Чавчавадзе,

А. Церетели и другие уделяли театру большое внимание и принимали горячее участие в его работе.

Функции драматического общества при Советской власти были возложены на Театральное общество Грузии.

Михаил Мревлишвили Заслуженный деятель искусств Грузинской ССР

ДАТЫ И ДЕЙСТВИТЕЛЬНОСТЬ

14 января сего года исполняется 85 лет со дня основания Грузинского драматического общества и 20 лет со дня создания Театрального Общества Грузии, что свидетельствует о больших традициях грузинской театральной культуры.

Далее автор рассказывает о том, как И. Чавчавадзе заботился о материальном обеспечении и творческом развитии грузинского национального театра и как было создано первое «Грузинское драматическое общество».

Великий Народный трибун

(Статья В. Кикнадзе)

В 1850 году был основан первый грузинский профессиональный театр. Инициатором этого замечательного дела был Г. Эристави. 14 января (2 января по старому стилю) состоялась премьера «Гакра»

(«Раздел»), после чего эта знаменательная дата торжественно отмечается ежегодно.

После установления в Грузии Советской власти грузинский профессиональный

театр обрел прочную материальную основу, а выдающиеся режиссеры К. Марджанишвили и А. Ахметели заложили фунда-

мент грузинского советского театра и довели его творчество до невиданных доселе высот.

**Елена Ахвlediani
Народный художник Грузинской ССР**

Рядом с Марджанишвили

Наша пресса уделяет мало внимания работе художника в театре, его работе с режиссером. Если бы все художники, работавшие с К. Марджанишвили, написали свои воспоминания, то получился бы очень интересный материал, особенно для молодых.

Далее автор рассказывает, как К. Марджанишвили работал с художниками в процессе постановки спектаклей.

Далее приводятся приветствия по случаю Дня грузинского театра:

Народной артистки СССР —

В. Анджапаридзе,

Народной артистки СССР —

С. Такайшвили,

Народного артиста СССР —

В. Годзиашвили,

Народного артиста СССР —

А. Хорава,

Народной артистки ГССР —

Н. Бурмистровой,

Народного артиста ГССР и

Армянской ССР — **Д. Амирбекяна.**

АУБН

ს ა რ ჩ ე ვ ი

დ. ანთაძე — ქართული თეატრის დღე	3
ს. გერსამია — ქართული დრამატული საზოგადოება	10
ნ. შვანგირაძე — ტრადიციული დღესასწაული	13
შ. აფხაზე — სახელოვანი ოცი წელი	15
მ. მრევლიშვილი — თარიღები და სინამდვილე	17
ვ. კიჯნაძე — დიდი სახალხო ტრიბუნა	19
თეატრის დღეს: ვ. ანგაფარიძე, ს. თაყაიშვილი, ა. ხორავა, ვ. გოძიაშვილი, ნ. ბურმის-ტროვა, დ. ამირბეგიანი	21
ე. ახვლედიანი — მარჯანიშვილის გვერდით	21
შრონიქა	26

СОДЕРЖАНИЕ

Д. Айтадзе — День грузинского театра	3
С. Герсамия — Грузинское драматическое общество	10
Н. Швангирадзе — Традиционный праздник	13
Ш. Апхайдзе — Славное двадцатилетие	15
М. Мревлишвили — Даты и действительность	17
В. Кикнадзе — Великий Народный трибун	19
День театра — В. Анджапаридзе, С. Таказишвили, А. Хорава, В. Годзиашвили, Н. Бурмистрова, Д. Амирбекян	21
Е. Ахвледiani — Рядом с Марджанишвили	24
Хроника	26

ТОГ
ВЕСТИК
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси - 1966

№ 1 (34)

ფასი 20 გაზ.
Цена коп.

გადაეცა წარმოებას 28 |II 1966 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12 |IV 1966 წ.

ნაბეჭდ ფორმათა ჩაოდენობა 2,25

საქართველოს ოქატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორჯის ქ. № 3

Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3

ქ. 1091

სე 06911

გ. 200